



საზოგადოებრივი  
საქართველო

X V.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი.

X V.

№ 7.

კვირა, 10 თებერვალი 1902 წლისა.

№ 7.

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით თბილისში 7 მან., სასაზღვრო წლით 3 მ. 50 კ.; თბილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., სასაზღვრო წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კან.

**ხელის-მოწერა მიიღება:** თბილისში—„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, თეატრის ქუჩა, № 12.

**ტელეფონი № 734.**

**ფასტის ადრესი:** Тифлисъ. Редакция „КВАЛИ“.

**ზინაარსი:** საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე, მოსაუბრისა. — შინაური მიმოხილვა. — მიწის წერა შემახში. — სხვა-და-სხვა ამბები. — გორესმონდენციები. — რუსეთის ცხოვრება. — საზღვარ-გარეთ. — \* \* \* ლექსი კ. კოკლასძისა. — სამწუხარო შედეგი, ე. ნინოშვილისა. — ზიარებისა და საზოგადოება, გრ. რობაქიძისა. — ზატარა ყარა-მანახი, ი. კვდოშვილისა. — ჟურნალ-გაზეთებიდან. — ქართული თეატრი. — საქველ-მოქმედი საქმე. — განცხადება.

**მუთაისი** „კვალის“ ცალკე ნომრები იყიდება ვ. ბეჟანაშვილის წიგნის მაღაზიაში და **ბათუმში**—სპირ. ქელიძის წიგნის მაღაზიაში.


**საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე**

I  
ჩვენი ზუბიციტიკა და ეროვნება.

რამდენიმე ხნით შეჩერებული საუბარი ჩვენ გვსურს ისევ განვახლოთ მკითხველებთან. მაგრამ ცოტა არ იყოს, აქ ერთი გარემოება აქვეყნებს საქმეს: ამ მცირე ხნის სიზუმის დროს ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში იმოდენა საკამათო მასალა მოგროვდა, რომ არც კი ვიცო, რომელი ერთიდან დავიწყოვს ჩემი პირველი განახლებული საუბარი. აქედან მკითხველი იმას ნუ კი იფიქრებს, რომ ჩვენ დიდთ ვაფასებდეთ ამ მასალას: მკითხველის გონებისთვის იგი უფრო მანებელია, ვინც მასსიკეთო, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამასთან არავითარი ორიგინალობის ნიშან-წყალი მას არ ეტყობა, რომ ამით მაინც იყოს იგი ჩვენთვის საინტერესო. საერთოა რომ თვალი გადავავლოთ იმას, რაც ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ითქვა და დაიწერა ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში, ჩვენ შემდეგ დასკვნამდე მივალთ: საბრალო ჩვენი აზროვნება! ჩვენი აზროვნების სიბეჭე და დაქვეითება თითქო მთელი ჩვენი საზოგადოების სიბეჭეის და დაქვეითების გამოშატოვლი იყოს! მაგრამ ეს უკანასკნელი დასკვნა შეცდომა იქნება. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ჩვენი დღევანდელი ჟურნალ-გაზეთობა და საერთო მთელი ჩვენი მწერლობა სრულებით ვეღარ აკმაყოფილებს ჩვენი აწინდელი საზოგადოების მოთხოვნილებას. ჩვენი მწერლობა შესამჩნევად ჩამორჩა ცხოვრებას, რომელმაც ბევრათ წინ გაუსწრო მას. ამ 30—40 წლის წინეთ ჩვენი მწერლობა, თუმცა ყოველმხრით ბევრათ უფრო დაზიდავნილი დღევანდელთან შედარებით, მაშინდელი საზოგადოების წინ იდგა. დღეს ასე აღარ არის, გარემოება შეიცვალა. საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი პირობები მტკიცე სიჩქარით და სისწრაფით

განვითარდნენ; მწერლობის პირობები კი უფრო სახიფათო გამოდგენ, მისი ზრდა-განვითარებას უფრო გადაელობენ წინ სხვა-და-სხვა დამაბრკოლებელი გარემოებანი. ერთი სიტყვით, მწერლობა უფრო ვიწრო ფარგალში დარჩა მომწყვდეული. ასეა თუ ისე ჩვენი მწერლობის მდგომარეობა დღეს მეტათ შესაბრალოა. არსად გრძნობთ აღსავსე, არსად ძლიერი განმაცოცხლებელი ხმა. ყოველგან აზრის სივიწროე და სილატაკე. ღრმა, ფილოსოფიურ და ნაყოფიერ აზრს, რომელიც აფიქრებს მკითხველს და იწვევს მასში აზროვნებას, ტყუილა უბრალოთ ნუ დავძებთ ჩვენ ლეტურატურაში. მას აკლია აღმაფრენა, იგი ვერ გაიტაცებს მკითხველს, ვერ მიცემს მას შესაფერ საზრდოს გონების გასანათლებლათ და ხასიათის გასამტკიცებლათ. ამიტომ რა გასაკვირალია, რომ ასეთი მწერლობა ვერ გაუწევს საზოგადოებას ხელმძღვანელობას. აი ფრიად სამწუხარო გარემოება, რომელიც მუდამ უნდა გვაფიქრებდეს ჩვენ. სად უნდა ვეძიოთ ამის წამალი, რა საშუალება უნდა გამოვნახოთ, რომ ჩვენი მწერლობა ვისნათ ამ დამცირებისაგან, რომ იგი შევქნათ საზოგადოებრივ ძალათ, და მივანიჭოთ მას ის ღირსება და პატივი, რომელიც მას სამართლიანათ ეკუთვნის. ეს მთელი ჩვენი თანამედროვე ცხოვრების ძირითადი კითხვაა და მის გადაწყვეტაზე კიდია ჩვენი მომავალი. აქ კი ამასვე მსჯელობას ადგილი არა აქვს. ჩვენ მხოლოთ შეგვიძლია ცხოვრებს ფაქტების აღნუსხვით და ფიზიკური დაკვირვებით მას გზა გავუკვალათ. დასწორეთ აქ არის, რომ ჩვენი პუბლიცისტიკა ლალატობს თავას ნამდვილ დანიშნულებას. ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა, იმის მაგიერათ, რომ ცხოვრების რეალურ მოთხოვნილებათა გარკვევას ეცადოს, ან ლობე-ყორეს ედება და ან სრულებით უსარგებლო განყენებულ ცნებათა განხილვას ანდომებს ძვირფას დროს. ჩვენ სრულებით იმას არ ვამბობთ, რომ ვითომც განყენებულ საგნებზე მსჯელობას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს რეალურ ცხოვრების ახსნა-განმარტებისთვის, მაგრამ ამისთვის განსაკუთრებული ნიჭია საჭირო, რასაც, სამწუხაროთ, ჩვენი პუბლიცისტიკის ნაწერებში ვერ აღმოაჩინთ დიოგენის ფარნითაც რომ ეძიოთ. მაგრამ რას იზამთ, როცა ჩვენ ჟურნალისტების





აზროვნება იმდენათ გამოფიტული და გამომშრალია ხოლმე, რომ უფროს ერთ შემთხვევაში სათქმელიც არა აქვთ-რა, თუმცა წერის საღერლეო მეტათ აშლალი აქვთ. ასეთი ნაძალადევი წერისაგან რომ არაფერი სახიერო არა გამოვა რა, ეს ცხადზე უცხადესია.

მეორე მხრით აშკარაა ის გარემოებაც, რომ ასეთ პირობებში ძალაუფლებათ პოლიემიკურ იარაღს უნდა მიმართო, თუნდაც ეს შენთვის არა სასიამოვნო იყოს. რა ვქნათ: ზოგჯერ გარემოება ისე მოეწყობა, რომ თავის საკუთარ აზრის და შეხედულებების გამოთქმა შესაძლებლათ ხდება მხოლოდ სხვისა აზრის და შეხედულების გარჩევის და დაფასების საშუალებით. ამის გამო ჩვენი პირადი სურვილის წინააღმდეგ ჩვენ საუბარს უმეტეს ნაწილათ პოლიემიკური ხასიათი ჰქონდა და ვფიქრობთ, რომ შემდეგშიაც ასე იქნება. მკითხველს ალბათ ვინტერესება, რომელი ქართველი მწერლის გონების ნაყოფი ავარჩიეთ ჩვენ დღევანდელი საუბრის უმთავრეს საგნათ. ამიტომ საჭიროთ მიგვაჩინა ვაუწყოთ მას, რომ ჩვენ აქ არაფერს ვიყურებთ არც ნ. ჯორჯაძის აზრთა „ევოლიუციაზე“ და არც ბ. Plebs-ის ისტორიაში სხვა-და-სხვა „მბრძანებელ“ ფაქტორებზე \*); არას ვიყურებთ არც ბ. ი. ფანცხავის საშინელ ოხვრახე იმის გამო, რომ თანამედროვე საზოგადოებას მის (ბ-ნ ფანცხავის) მიერ უვიცათ წოდებულს მაქსიმე გორკის „უსულო და უგულო სურათები“ მოწონს და არა მოხამბაზი მოშარე ალ. ჭავჭავაძის ლექსები, და არც კ. თუმანიშვილის ადამიანის შემოახვევლ და გონებრივი ატმოსფერის მოშხამველ ჰადაგებაზე; ჩვენ გვერდს აიუვლით კავკასიის ახლათ მოვლინებულ გმირთა გმირს—პართენ გოთუას «საქმეთა საგმიროთა», იმ პართენ გოთუას, რომელმაც თავისი თავის ქებით გააცნო ქვეყანას თავის ვინაობა. და ასე წარმოიდგინეთ. ჩვენ აქ არას ვიყურებთ არც თვით არ. ჯორჯაძის «მოქცევაზე», ანუ უკეთ რომ ვთქვა, მის აზრთა და შეხედულებათა არამეცნიერულ «ბორძიკზე», თუმცა იმედი კი გვაქვს, რომ მას ახლო მომავალში გამოვიცნობრებით. მაშ ველა დავერჩა? ჩვენდა საბედნიეროთ ქართულ ლიტერატურას ამ ცოტა ხანში კიდევ შეემატა ერთი პუბლიცისტი. და სწორეთ იმის ლიტერატურულ ფიზიონომიაზე გვსურს აქ მსჯელობა ვიქონიოთ. მე მოგახსენებთ ვაზ. „ივერიის“ თანაშრომელზე, ბ-ნ კალაშზე.

თუ არ ვცდებათ, ბ. კალაში პირველათ უნდა გამოდიოდეს სალიტერატურო ასპარეზზე, ამიტომ ძლიერ სასიამოვნოა მასთან გაცნობა, როგორც თანამომესთან ხელობით; მაგრამ ამთავითვე ეჭვი გვაბადება, რომ ვაი თუ გარდა ხელობისა ჩვენ საერთო არა დავგირჩისრა მხოლოდ იმის თქმა კი შეგვიძლია, რომ ბ-ნი კალაში „საერთო ნიადაგის“ მძებნელთან ძლიერ ახლო დგას, ისინი თითქმის ერთ „საერთო ნიადაგზე“ დგანან, თუმცა ეს „საერთო ნიადაგი“ უფრო უნიადაგობას ნიშნავს. სანამ ვისიმე შინაგან თვისებას ვაიცილობდე, გარკვეან სახეს ანუ გამოჩენილებას აქვეყ ყურადღებას. მწერლის გარეგანი სახე—სტილი და წერის მანერაა. ამ მხრით მეტათ საინტერესოა ბ-ნ კალამის ბ. ჯორჯაძისთან შედარება. ბ. ჯორჯაძის ვაბედვით და რიხით უყვარს წერა.

\*) ამ „ბრძანებელ“ ფაქტორთა შორის ბ-ნი Plebs ი საპატიოადგილის უთმობს «საეკლესიო ფაქტორს», რომელიც ბრძანებლობდა საქართველოს ისტორიაში „მეორე საუკუნიდან დაწყებულა“. მაგრამ ვინაიდან შემდეგ არაბთა ბატონობამ საქართველო პოლიტიკურათ დაამხო, ამას გამო პოლიტიკური ფაქტორი ვადიქცა უპირატეს ფაქტორათ! მაგრამ არც ამას შერჩა დიდხანს ბრძანებლობა: „ბიზანტიის გავლენის გამო რელიგიურათ ფაქტორმა უპირატესი ადგილი დაიპყრა! და ასე ამგვარათ ხან ერთი იყო ქვეშ ხან მეორე! (იხ. „ივერია“, № 6). ყველა ეს „ბრძანებელი ფაქტორები“ და ამათ შორის „საეკლესიოც“, ეტუობა ძლიერ მოსწონებია არ ჯორჯაძესაც! (იხ. „ცნ. ფურც.“, № 1708).


ბ, კალაში კი ძლიერ მორცხვი და გაუბედავი მოჩანს თავის ნაწერში; მას თითქო ეშინია თავის სიტყვებზე და თქმულზე გგონიათ რომ ავტორი მზათ არის თავის ნათქვამზე და თქმულზე წაიღოს. აი ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს თქვენზე. კალაში. განვიხილოთ ალა ის გონებრივი საკძალი, რომლითაც გამოვიდა ბ. კალაში სალიტერატურო ასპარეზზე, ანუ ის „დღეა-აზრი, რომლის მიხედვით მან უნდა განიხილოს ყოველი მოვლენა, როგორც საშინაოსა, ისე საგარეო ცხოვრებაში“ („ივერია“ № 7).

ჩვენ ხილში გვაქვს ორი პატარა წერილი, სათაურით: «საღღისო წერილები» („იხ. ივერია“ №№ 7 და 18. ორივე ამ წერილების შინაარსი ერთი და იგივეა, ორივეს საგანს ეწინააღმდეგება დაწინააღმდეგებელი პრინციპი შეადგენს. საგანი, როგორც ხედავთ, მეტის მიტათ ძველი და გაცივთილია ჩვენ მწერლობაშიაც კ. მაგრამ საქმე ის არის, თუ როგორ უყურებს მას ჩვენი ავტორი. შემოაქვს ამ მეტათ ბუნდოვან ცნების ახსნაში ცოტაოხენი სინათლე, თუ კიდევ უფრო ბუნდოვანათ ხდის მას?

ბ-ნი კალაში სრულებით არ გვეუბნება ჩვენ, თუ რა არის ან რას შეიცავს ეროვნება და ეროვნული პრინციპი. საკვირველია ეს მით უფრო, რომ გარეშე ეროვნებისა მას არც არაფერი რწამს და არც აზაფერი მიაჩნია. „წარსულ საუკუნეში—გვეუბნება ავტორი—ყოველ დიდ საპოლიტიკო მოვლენას თითქმის ერთი და იგივე ხასიათი ჰქონდა—ეროვნული... ყოველივე გამსქალულია ერთი აზრით, ყოველივე გამოწვიულია ერთა დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებით“ \*), საჭირო იყო, რომ ამ სიტყვების დამწერს უპირველეს ყოვლისა ცოტათი მანც გაერკია, თუ რას წარმოადგენს ეროვნება. ვინ არ ვინდა, რომ საგნის გამოკვევა ერთ უმთავრეს მიზნათ არ გაეხადოს, მაგრამ ამის შედეგი იყო აზრთა და შეხედულებათა სრული არე-დარევა, ასე რომ ბრუნდი და მართალი ერთმანეთს ველარ ცნობენ. ერთათ ყველას მოწონს ერთი და ეროვნება, ყველა ეთაყვრება მათ, ყველა ვაიძახის ეროვნებაზე და ეროვნულ პრინციპის დაცვაზე, მაგრამ რომ კითხოთ, რას წარმოადგენს ეს ცნება ან რაში გამოიხატება მისი არსებობა, უმრავლესობა ვერაფერს ვადაქრით ვერ გიყვების. ენა, ტერიტორია, კულტურა,—მათი დაცვა და გამაგრება, აი რაში გამოიხატება ეროვნება და ეროვნული პრინციპი. მაგრამ ერთი ვიკითხოთ: ყოფილა თუ არა დედამიწაზე ისეთი ხალხი ანუ ტომი, რომელიც წარმატების გზაზე დამდგარიყოს და რომელსაც არ ჰქონებოდეს არც ენა, არც ტერიტორია და არც კულტურა? შემდეგ შესაძლებელია თუ არა წარმოვიდგინოთ, რომ ხალხი განვითარდეს, წარმატება დაეტყოს, და ამ გარემოებამ არავითარი გავლენა არ მოახდინოს მის ენაში, და ზნე-ჩვეულებებში? რა საკვირველია, არა. აქედან ის დასკვნა გამოგვაყავს, რომ როგორც ენა, ისე სხვა კულტურული მოვლენანი თვით ხალხის განვითარების შედეგია. მაშასადამე ყოველივე ამის დაცვა და გამაგრება დამოკიდებულია იმ ძალებზე, რომლებზედაც დამოკიდებულია თვით საზოგადოების განვითარება. ვისაც ამ ნაირ ძალათ ეროვნება და ეროვნული პრინციპი მიაჩნია, ის მხოლოდ თავის თავს ატყუილებს და ფიქციას ემსახურება. აქ სამწუხარო ის არის, რომ ეროვნული პრინციპის გამოკიდებამ ბევრ ჩვენ ახალგაზრდას დაუბნია გზა-კვალი. ამის თვალსაჩინო მაგალითს თვით ბ. კალაში წარმოგვიდგენს. პირველი წერილის თავში მან გვაუწყა, რომ „ორი უმთავრესი ძალა ამოძრავებს ახალ ცხოვრებას—ეროვნ-

\*) იხ. „ივერია“ № 7 ესევე განმეორებულია თითქმის სიტყვა-სიტყვით მეორე წერილშიაც (იხ. „ივერია“ № 18).





ნება და დემოკრატიზმიო“. ხოლო მეორე წერილის დასაწყისშივე იგივე ავტორი გვეუბნება: „დღევანდელი ცხოვრების უმთავრესი ვაჰვი (!) და სულის ჩამდგმელი ძალა — დამოუკიდებელი და თვითმომქმედ ადამიანისადმი მისწრაფებაა.“ ამნაირათ ერთ ადგილს ბ. კალამი ორ უმთავრეს ძალას ასახელებს, რომელიც ამოძრავებს თანამედროვე ცხოვრებას, ე. ი. ეროვნებას და დემოკრატიზმს! მეორე ადგილას კი ასეთ ძალათ მას დამოუკიდებელი და თვითმომქმედ ადამიანისადმი მისწრაფება მაჩნია. როგორ შევარჩიოთ ეს წინააღმდეგობა? ავტორი ასე არიგებს ამას: „თვითმომქმედ ადამიანებში მისწრაფება ორ სხვა-და-და-სხვა სახეს იღებს: ერთგან მოქმედებს როგორც ეროვნული ძალა, მეორეგან როგორც დემოკრატიული.“ ეს წინადადება ხელახლა საჭიროებს განმარტებას. საქმე ის არის, რომ ბ. კალამის აზრით „საერთაშორისო ურთიერთობაში მოქმედობს ეროვნული ძალა, ხოლო შინაურ ცხოვრების ბატონია მეორე — ძალა დემოკრატიული“ (იხ. «ივერია» № 7). ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ასეთი დაყოფა. როგორც ჩანს, ეს თვითავტორისაც უხერხულაო მაჩნია და კიდევაც მოუწადინებია ამათი შეერთება, ერთი ერთმანეთში გარდაქმნა. «რა არის ეროვნული დამოუკიდებლობა?» — კითხულობს ბ. კალამი. ვე ინდივიდის, ადამიანის დამოუკიდებლობა და თვითმომქმედება არ არის? ადამიანის თვითმომქმედება აუცილებელიც და არსებითად მოითხოვს ეროვნულ თვითმართებლობას. განა შეიძლება ეს თვითმართებლობა, თუ არ არსებობს ერის დამოუკიდებლობა? აქედან აშკარათ ჩანს, თუ რანაირათ დაუბრმავებია ჩვენი ავტორი ეროვნულ პრინციპს. მისი მსჯელობიდან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ვითომც ეროვნული დამოუკიდებლობა ადამიანის დამოუკიდებლობას და თვითმომქმედებას ნიშნავს. მაგრამ ეს ხომ ისტორიის წინააღმდეგობა და ლოლიკური აბსურდი. მეორე მხრით, ნუ თუ მას გონია, რომ ერის დამოუკიდებლობა უთუოთ (კალკე ადამიანის დამოუკიდებლობასაც მოასწავებს და პირიქით? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ავტორი გაგვანთავისუფლებს ჩვენ მისი ტრეზისების დასარღვევ მაგალითების დასახელებიდან. აი კიდევ მეორე ნატომი: ავტორის აზრით „ერი და ეროვნება კულტურული მოვლენაა და ახალი ცხოვრების ნაყოფია“. მაშასადამე ძველ დროში ერი და ეროვნება არ ყოფილა, მაგრამ ავტორმა იერ შეიმაგრა თავი. «საბერძნეთის ტომნი წარმოადგენდენ ერთ ერს?» კითხულობს იგი. და თითონვე იძლევა პასუხს, რომ «ამის უარყოფა ძნელია». ეს კიდევ არ იკმარა ბ-მა კალამმა. თუ დამოუკიდებლობა და თვითმომქმედებაა უმთავრესი დამახასიათებელი და ნიშნობლივი თვისება ეროვნებისა, იმ შემთხვევაში ქართველი ხალხი წარსულში უფრო უახლოვდებოდა, ჩვენი ავტორის შეხედულებით, რასაკვირველია, ეროვნულ პრინციპს. „შეიძლება დღეს ამბობს ბ-ნი კალამი — უფრო მამდარნიც ვართ შედარებით, მაგრამ წარსულში მეტი დამოუკიდებლობა, მეტი თვითმომქმედება, მეტი თავგამოდება და ხაიათის სიმტკიცე იყო“ (№ 7). მაშასადამე წინააღმდეგ ლოლიკისა და ისტორიისა გამოდის, რომ ქართველ ხალხს ძველათ უფრო განუხორციელებია ეროვნული პრინციპი, ვინემ დღეს! ეს ძლიერ საინტერესო აღმოჩენაა! მაგრამ ერთი აღმოჩენა კიდევ მოუხდენია ბ. კალამს. აი იგიც: „სომხები ჩვენზე მდიდრები არიან — ეს მათი ძალაა. მაგრამ დღესაც ვვაქვს ჩვენ (ქართველებს) ერთი ძალა — ისტორიული“ (იქვე)! გესმით? ჩვენ გვექონებია მხოლოდ ერთათ-ერთი ძალა — ისტორიული! მაგრამ ის კი აღარ ვიცით, «ეროვნული» და «დემოკრატიული» სადღა გაქრენ! ან შეიძლება ჩვენში ჯერ ისინი არ გაჩენილან?

როგორც მოსალოდნელი იყო, ავტორი წინააღმდეგია სომხების, „რამდენათაც ეს უკანასკნელნი დაბრკოლებენ ჩვენ

ეროვნულ თვით-არსებობას. ჩვენსა და მათ შორის უთანხმოებას მარტო ეკონომიურ ბრძოლათ არა ვთვლით. ეკონომიურ ბრძოლას ზედ დაერთო ეროვნულიც. ჩვენი განმარტება ეკონომიური გაღონიერებით შეიძლება“. ამნაირათ — ბ. კალამის შეხედულება თანდათან ირკვევა, წინააღმდეგ მისი სურვილისა. «ყველასათვის ცხადია — გვეუბნება ავტორი, — რომ ერს არ შეუძლია აღებ-მიცემობისა და მრეწველობის გარეშე არსებობა, ერი მუდამ ლატაკი და სხვისაგან დამოკიდებული იქნება, თუ მრეწველობა არ განვითარდა“. ეს ძლიერ კარგი, მაგრამ შემდეგი სიტყვები აღარ გაგვეგება: «მაგრამ ამასთანავე არ შეგვიძლია თვალის მოვარიღოთ იმ მრავალგვარ უსამართლობას, რომელიც თან მოსდევს ამ პროცესს და არ გავითვალისწინოთ მომავალი... მკითხველს საჩემი უნდა ჰქონდეს ყოველთვის ჩვენი დედა-აზრი და მუდამ არ უნდა გვოხროდეს ვრცელ განმარტებას“. (იქვე). ეს მეორე ბუნდოვანათ არის ნათქვამი. გარწმუნებთ, ბ. კალამო, რომ ესევე აზრა ბევრათ უფრო ნათლათ და გასაგებათ ბ. ჯორჯაძეს ჰქონდა ნათქვამი და მიკვირს რათ არ ისარგებლეთ მისგან! ნუ გგონიათ, რომ აქ თქვენ ორიგინალობას იჩენდეთ. ამ სიტყვებით თქვენ კლასთა შორის ბრძოლას აფუჩივებთ გარწმუნებთ, რომ ამ შემთხვევაში უფრო ვაქცურათ მოიქცა ბ. ჯორჯაძე: მან აშკარათ აღიარა კლასთა შორის ბრძოლა, მაგრამ მუშების პატრიოტულ გრძნობას მიწართა... საზოგადოთ თანამედროვე ეროვნული პრინციპის გააზრებისთვის მისი გენეზისის ცოდნა საჭირო. ვეცდებით ეს ცალკე წერილში განვმარტოთ.

მოსაუბრე.

შინაური მიმოხილვა.

გამოირკვეა როგორც იყო კავკასის შოლის ერთი კითხვა, სახელდობრ, მასწავლებლის ყოფაქცევის შესახებ და ჩვენი დინჯი გამგეობა (წ. კ. საზოგადოებისა) იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ შკოლა და ეს ორმოციან წლებს ნაშთი მასწავლებელი დღეს ერთათ ვლარ შორიგდებიანო. ამიტომ გადაწყვიტეს მასწავლებლის შკოლიდან მოშორება. მის კვალს მიყვება კავკასის შკოლიდან რასაკვირველია, ბ. გოთუაც, რომელიც ისე თავგამოდებით იკავდა ამ მასწავლებელს თავის წერილებში, და არც ეს არის დიდათ სამწუხარო, თუ ასე მჭიდროთ იყო დაკავშირებული მისი საზოგადოებისადმი სამსახური ამ მასწავლებლის ბედთან. დაგვჩინია მხოლოდ ორივეს გზა მშვიდობისა ვუსურვოთ, და ჩვენ სასწავლებელს კი სახელის აღდგენა და მშვიდობიანი განვითარება. ამით ვათავებთ კავკასის გარემოებათა გადმოცემას, მაგრამ არ შევიძლია არ გავიხსენოთ თვით წერა-კითხვის საზოგადოების კრების ერთ მომენტი, როდესაც ზოგიერთი ჩვენი „მოღვაწეები“ (ხვირში იცენ პატივცემულ იაკობ გოგებაშვილს, როცა მან კავკასის შკოლის ნორმალურ წესზე ჩამოაგდო ლაპარაკი და იქაური ამბები გამოამყვანა. ზოგიერთები იმ ზომამდე გაკადნიერდნენ მაშინ, რომ ქორიკანაც კი უწოდეს პატივცემულ პიდაგოგს და პირველი იყო მათში ივ. ზურაბიშვილი. საინტერესოა, რას გრძნობენ ახლა ეს ვაჭატანები თავის სინიდისისა და საზოგადოების წინაშე? ვინ გამოდგა ქორიკანა და უგვანო საქვილის ხელის დამფარებელი? ვინ შეასრულა თავისი მოვალეობა საზოგადოების წინაშე პირნათლათ: იაკობ გოგებაშვილმა, თუ გოთუამ, ზურაბიშვილმა და ძმათა მისთა? მაშინ საქმე არ იყო გამოძიებული იტყვიან ეს «მოღვაწეები», მაგრამ ეს მათ ვერ გაამართლებს გოგებაშვილის წინ. მათ შეეძლოთ ეთქვათ, საქმე არ არის გამორკვეულიო, და ამას ყველა მიიღობდა, მაგრამ კაცის ქორიკანათ მონათვლა, იმ კაცის, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ, როგორც გამოირკვეა, შკოლის და მოზარდი თაობის ინტერესები ამოქმედებდნენ, დიდზე უდიდესი შე-



ცდომა და შეცოდება და მის გასასწორებლათ საჯარო ბო-  
ლიშის მოხდაა საჭირო. მერე შესწევთ ამისთვის ძალა რომე-  
ლიმე მათგან? არა ვგონებთ, მაგრამ, თუ სინამდვილემ წინა-  
აღმდეგი დაგვანახვა, მაშინ ჩვენ პირველი დავეუკრავთ მათ ტაშს.  
ვიცოცხლოთ და ვნახავთ.

\* \* \*

რაკი წერაკითხვის საზოგადოებას შევეხებთ, რომელზედაც  
დღემდინ რალაც გაფიცული ვლუშდით, (რასაც თავისი საფუ-  
ძველი ჰქონდა), იძულებული ვართ მწუხარებით აღვნიშნოთ ის  
მოვლენა, რომ ზოგიერთ სკეპტიკთა წინასწარმეტყველებამ  
იწყა გამართლება ჩვენი განახლებული გამგეობის შესახებ და  
მორიგი საქმეების გასარჩევათაც კი ვერ იკრებებიან. ამ უკა-  
ნასკნელ ორ კვირაში სამი სხდომა არ შედგა და აწი რაღა  
იქნება, ვინ იცის!.. სამწუხაროა ასეთი მოვლენა საზოგადო სა-  
ქმეში და ძველმაც და ახალმა წევრებმა ხელის გულზე უნ-  
და დაიწვრონ, რომ მარტო გამგეობის წევრობა არ არის სა-  
ქმის გაკეთება. საჭიროა მუშაობა, და ვისაც მეტი არ შეუძლია,  
ის ფორმალური მოვალეობა მაინც შეასრულოს, რომ სხდო-  
მებზე იაროს და ხელი არ შეუშალოს საქმეთა მსვლელობას,  
რადგან სათვალავში ურევია და მისი დაუსწრებლობა ხშირათ  
უკანონოთ ხდის კრებას.

\* \* \*

ქუთაისის ბანკის რწმუნებულთა უკანასკნელ არაჩვეულე-  
ბრივ კრებაზე სხვათა შორის დ. მ—ს, ჩამოუგდია სიტყვა იმის  
შესახებ, თუ რამდენათ სამართლიანია, რომ ქუთაისის შკოლას  
ინახავენ მარტო მსესხებლები, ხოლო სარგებლობენ დამაარ-  
სებელნი. ამ კითხვის აღძვრამ მეტათ აღაშფოთა ზოგიერთი  
გაზეთი და ალბათ სხვა მოღვაწეებიც. ერთი მხრით ეს აღ-  
შფოთება საფუძვლიანია, თუ მართლა კითხვის ასე თუ ისე გადა-  
წყვეტა იმსხვერპლებს ქუთაისის სააზნაურო სასწავლებელს. ნა-  
გრამ მეორე მხრით სრული სამართლიანია, და საჭიროა მისი  
ყოველ მხრით გამოკვლევა. ჩვენ არ ვიცით ვინ არის ეს „ცნო-  
ბილი მოღვაწე დ. მ.“, რომელმაც კითხვა აღძრა, მაგრამ სრუ-  
ლიად ვეთანხმებით, რომ ეს არა მცირედი უსამართლობაა და  
საჭიროა მისი თავიდან აცილება. სხვა ბანკებში კიდევ შეი-  
ძლება სხვა გვარი დებიტორები იყვენ, რომელთაც ბანკიდან  
ფული ხელი მოსანაცვლებლათ გამოაქვთ, მაგრამ ჩვენი სა-  
თავად-აზნაურო ბანკების კლიენტები უმთავრესათ მეტათ გა-  
ჭირვებულნი არიან და მათი წინაგლეჯით სხვისი შეილებების გა-  
მოზრდა დადი ცოდვია. ჩვენ არ ვწყვეტთ საბოლოოთ კი-  
თხვას, და თუ ასე მისი დაყენება მოითხოვს შკოლის დახუ-  
რვას, მაშინ იმისი მომხრე ვიქნებით, რომ შკოლის სასარგე-  
ბლოთ ერთის ნაცვლათ ორი პროცენტი გადახდონ მსესხე-  
ბლებმა, რომელთაგან ბევრის შეილები იმავე შკოლაში სწავ-  
ლობენ, მაგრამ თავისთავათ ეს ახირებული მდგომარეობაა და  
მისი აცილება სასურველია, თუ ისე მოველემა თავ, რომ  
შკოლას არაფერი ვენოს.

\* \* \*

ბევრი რამ აკლია ქუთათურებს; ყველაფრის მოწყს-  
რიგებას, მკონი, ვერც განახლებული „იმედებიანი“ გამგეობა  
პირდება და ჩვენ კიდევ უფრო ნაკლები იმედი გვაქვს. მაგრამ  
რისი შევსება და შესწორებაც შეიძლება, იმის მოწყობა კი არ  
უნდა დაიზარონ. ქუთაისს აქვს ორი ბიბლიოთეკა-სამკით-  
ხველო: ერთი ქალაქისა და ერთიც წერაკითხვის საზოგადოე-  
ბისა გაბრიელის სახელობაზე. ისეთი პატარა ქალაქისთვის, რო-  
გორც ქუთაისა, ორი სამკითხველო საკმაოდ იქნებოდა, მათი  
საქმე რომ რივიანათ იყოს მოწყობილი, მაგრამ უბედურებაც  
ის არის, რომ ამ რივიანობას და ყოველ წესიერებას მოკლე-  
ბულია ორივე. ქალაქის სამკითხველო უფრო გაუარისტოკრა-  
ტიბით, რასაც ხელს უწყობს მისი გამგე, რომელიდაც კნი-

აენა. უბრალო მკითხველი ვერც კი ბედავს თურმე შიგ შე-  
სვლას, და თუ ვაბედა, წიგნების მიღებას ორი-სამი საათი უნ-  
და უცადოს, რადგან იქ პირველ ადგილზე ხანდახან წიგნ-  
ნაცნობობ ა დაყენებული, ხოლო ქუთაისში მისი წიგნ-  
ხოვანი ნაცნობი არც ერთ კნიაჟნას არ გამოეცემა.

მეორე, თუმცა იმდენათ გადმოკრატებულია, რომ პა-  
ლტოთ და კალოშებით შემოსვლას თხოვენ მკითხველებს (წმი-  
ნით დაკარგვის, რადგან ეს მეტათ ხშირია თურმე) და სამკი-  
თხველოს მსახურსაც შიგ სამკითხველოში ძინავს, მაგრამ, აღ-  
ბათ იმ მოსაზრებით, რომ უბრალო ხალხისთვის ახალი ამბავი  
მეტი, იქ მხოლოთ ძველ გაზეთებს, უფრო ხშირათ კი მათ ნა-  
გლეჯებს, პოულობთ; უფროალები კი კხრაკლიტულში აქეთ  
შენახული, ან განათხოვრებული. ამ დემოკრატიულ სამკითხვე-  
ლოში ჩამოსაჯდომი სკამებიც კი არ არის, რომ დადალულ-  
დაქანცულ მკითხველს გულდასმით და მოსვენებით შეეძლოს  
წაიკითხოს, თუკი რამე იპოვა საკითხავი. ამას დაუმატეთ ისიც  
რომ ორივე სამკითხველო გამგეთა სურვილისამებრ იტურება  
და იხსნება, მიუხედავთ დანიშნული საათებისა და ადვილათ  
წარმოიდგენთ რა მდგომარეობაშია ქუთათური მკითხველი, ნა-  
მეტურ უბრალო, უხარისხო და გამგეთა უცნობი.

საჭიროა, როგორც ქალაქის გამგეობამ, ისე წერაკითხვის  
საზოგადოების რწმუნებულმა ყურადღება მიაქციონ ამ გარე-  
მოებას და წესიერება დაამყარონ, თორემ კითხვის სურვილის  
გაღვიძების ნაცვლათ ხალხს გულს აუყრიან და, როგორც ბე-  
ვრი რამ სხვა ქუთაისში, სამკითხველოებიც თავის დანიშნულე-  
ბის წინააღმდეგ იმოქმედებენ.

**მიწის ძვრა შემახაში.**

წინა ნომერში ჩვენ მოკლეთ მოვიხსენიეთ შემახაში მომ-  
ხდარი უბედურება. მიწა ინძრა 31 იანვარს ნაშუადღევს პი-  
რველ საათზე და გაგრძელდა 3 წუთი. 31 იანვრიდან 3 თე-  
თებერვლამდინ თითქმის განუწყვეტლივ მიწის ძვრა იყო, მთელ  
ქალაქში რამდენიმე სახლი თუ გადაჩა, ისიც მეტათ დაზა-  
რალებული. დანარჩენი სახლები სულ დაინგრა და წინანდელი  
ქალაქი დღეს მხოლოთ ნანგრევებს წარმოადგენს. დაღუპულ-  
თა რიცხვი 5000 აღემატება. ვინც სიკვდილს გადურჩა ის და-  
რჩა უსახლკაროთ, ულუკმაპუროთ; ამ უბედურებას დაერთო  
წვიმა, სიცივე, ცეცხლი, რომელიც გაუჩნდა ნანგრევებში მო-  
ყოლილ ფართლელობას და ადვილათ წარმოიდგენთ იმ საზა-  
რელ სურათს, რომელსაც წარმოადგენს ოდესღაც სიცოცხლით  
სავსე ქალაქი, ხოლო ეხლა ნანგრევებთ ქცეული შემახა.  
ხალხი შიშის ზარ დაცემულია. რადგანაც დრო-გამოშვე-  
ბით მიწის ძვრა დღემდინაც არ შეწყვეტილა. ნანგრევებიდან  
ამოღებული მკვდრების რიცხვი თანდათან მატულობს; ექიმები  
და ფერშლები დღე და ღამ მუშაობენ, მაგრამ დაშავებულთა  
რიცხვი იმდენია, რომ ვერ აღიან დასახიჩრებულთ თავბირ-ხელ-  
ფების ხვევას. ჰაერი მოწამლულია გახრწნილი გვამების სუ-  
ნით, ნანგრევებიდან ხშირათ ცოცხლებიც ამოყავთ; მიწა აღ-  
გილ-ადგილ დახეთქილია და ქვეიდან რალაც საშინელი გრია-  
ლი მოისმის. ძბნის დროს ხშირათ წააწყდებით გულსაკლავ  
სურათს. მ-გალითათ, როდესაც ერთი აბანოს ნანგრევებს  
თხრდენ, ნახეს საწყალი დედა ძუძუმწოვარა ბავშვით ხელში,  
რომელსაც მაგრათ მოეხვია შეილისთვის ხელები, თითქოცდი-  
ლა სიკვდილიდან დაეხსნა თავისი საყვარელი. მეორე აბანოს  
ნანგრევებში იპოვეს დედა ოთხი შვილით. საზოგადოთ აბა-  
ნოებში მკვდარი ქალების გვამებს უფრო მეტს პოულობენ,  
რადგანაც მიწის ძვრა მოხდა ხუთშაბათს, ამ დღეს კი ჩვეუ-  
ლებრივ ყველა აბანოებში ქალები დაიარებოდენ. ხშირათ პო-  
ულობენ რამდენიმე მკვდარ ქალებს ერთათ, რომელთაც გა-  
ქცევა დაუპირებიათ, მაგრამ ვერ მოუხსრიათ გარეთ გამო-



სკოლა. ზომები არის მადებელი რომ ვადარჩენილებს შემწეობა აღმოუჩინონ. აშენებენ დროებით თავშესაფარებს, ყოველ კუთხიდან გზაენიან პურს, ფულს და უწვდიან ხელს საცოდავთ დარჩენილ ხალხს. დახმარებას უზთავრესათ კერძო ქველმოქმედური ხასიათი აქვს.

სხვა-და-სხვა ამბები.

ქუთაისის სათავად-აზნაურთა სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოებამ უკვე დაიწყო მოქმედება. გამგეობის წევრებათ ამორჩეულ იქმნენ საზოგადო კრებაზე ელ. წულუკიძე, მ. გველეხიანი, გ. ქორქაშვილი და ე. ნიკოლაძე.

აქამდინ აღკრძალული იყო ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოების თეატრში ქართული წარმოდგენების გამართვა. ახლა ეს ნება-რთვა ქართულ წარმოდგენებისა და კიბუხების სექციას უკვე მიუღია ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელის ბ. შაიკვეიჩისაგან და 10 თებერვლიდან აღნიშნულ სცენაზე ქართულ წარმოდგენების გამართვას კიდევ შეუდგებიან.

ამიერ კავკასიის რკინის გზას სახალხო მატარებლებიდან პირველ იანვრიდან პირველ სექტემბრამდე 1901 წელს შემოსულია 2.276,506 მან., ხოლო მთელი წლის განმავლობაში — 4 1/2 მილიონი მანათი.

ფინანსთა სამინისტრომ დაავალა კავკასიაში სახელმწიფო პალატებს, რომ გადასახადთა ინსპექტორებს მოთხოვონ ცნობები, რამდენი ფაბრიკა-ქარხნებია ამ ჟამათ კავკასიაში, რამდგომარეობაში იმყოფებიან და რამდენი წლიური შემოსავალი აქვთ.

თფილისის პურის მცხობლებს გადაუწყვეტიათ დაარსონ ფქვალის საერთო მალაზია და შემის საწყობი, რადგანაც ამ ჟამათ ისინი ძვირათ ყიდულობენ ფქვილსა და შემის კერძო ვაჭრებისაგან.

რადგანაც თფილისში ძლიერ გავრცელდა ინფლუენცა, ამიტომ სასანიტარო-საექიმო ინსპექტორმა ქალაქის გამგეობაში აღძრა კითხვა იმის შესახებ, რომ ცენტრალურ ქალაქის საავათმყოფოში მიიწვიონ ორი ექიმი და ორი ფერმალი.

1 თებერვალს ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტფილისის სადგურზე მოხდა მეტრ გაბედული ავსაკობა. საღამოს 6 საათზე სავაჭრო კანტორიდან, რომელიც სულ ექვს-შვიდ საჯენზე იქნება სადგურის უმთავრეს შენობიდან, გამოსულა არტელ-შიკი ვასილ შიშიკოვი, რომელსაც დარაჯის ნიკოლოზ გრინცუკის თანხლებით მოქონდა თურმე უმთავრეს კასაში შესანახათ 6098 მან. 96 კაპ. რამდენიმე საჯენი რომ გამოიარეს, მარცხნით მდგომარე ვაგონებიდან გამოვარდა რამდენიმე შეიარაღებული კაცი, რომელნიც მიცივიდენ არტელშიკსა და დაუწყეს ჯოხებით ცემა; ამ არეულობაში რამდენიმე ბოროტ-განმურახველთ არტელშიკს ხელიდან ფულიანი ტომარა გამოგლიჯეს და გაიქცენ. ჩხუბის დროს დარაჯს გრინცუკს, რაკი მიხვდარა ტუდათაა საქმეო, უსვრია რამდენჯერმე რევოლვერი; ტყვია მოხვედრია ერთ ავაზაკს საფეთქელსა და გულში და იქვე მოუქლავს. დანარჩენნი უვნებლათ გაქცეულან ფულიანათ. ამ შემთხვევის დროს იქვე გავლელს რკინის გზის სახელოსნოში მომუშავეს სანდრო ლვინიაშვილს ტყვია მოხვედრია. ბარძაქში და შიშვით დაქრილა, მას ჰკონებია მომკლავენო და გაქცეულა, მაგრამ რამდენიმე საჯენის მოშორებით ვაგონების ქვეშ წაქცეულა. მოკლულის ავაზაკის ვინაო-

ბა ჯერ ვერ გამოურკვევიათ; მას უბრალო ბოლუზა აცვიო და შეიარაღებულია ხმლით, ხანჯლითა და თოფით; ბოლუზის ქვეშ ახალუხი აცვია; შეხედულებით მოკლული ასევე მკვლელობისათ სათ ჩასკენილი ყმაწვილი კაცი ყოფილა. ავაზაკთა და დარღვეულ ფულების აღმოსაჩენათ სასტიკი გამოძიებაა დანიშნული.

მოგვყავს შემდეგი ცნობები ტფილისის საბაღოსნო სკოლის შესახებ: წასულ 1901 წლის 1-ლ იანვრისათვის საბაღოსნო სკოლაში მოსწავლე ყოფილა სულ 69 კაცი; აქედან ქართველი 24, სომეხი 28, რუსი 11 და 6 კაცი სხვა-და-სხვა ეროვნებისა; 1901 წლის განმავლობაში სწავლა დაუსრულებია 8 კაცს, სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო სკოლისთვის თავი დაუწებებია 30 კაცს, გარდაცვლილა 1; წლის განმავლობაში მიუღიათ 7; ასე რომ 1902 წლის 2 იანვრისთვის სკოლაში არის სულ 37 მოსწავლე; ამათგან 11 ქართველი, 21 სომეხი, 3 რუსი, 1 ლეკი და ერთი ოსი. სკოლის სამზრუნველო საბჭოს, 1901 წლის განმავლობაში, სკოლის შესანახად დაუხარჯავს სულ 14,236 მან. 37 კაპ, ვალუბის გასასტუმრებლათ 2571 მან. 58 კაპ., სულ 17, 807 მ, 95 კაპ., მამდინარე წლის 1 იანვრისათვის სკოლას შემოსვლია 17,472 მან. 99 კაპ, მოსალოდნელი შემოსავალია 2744 მ. 59 კ. სულ ექნება სკოლას წელს 20247 მან. 58 კაპ,

კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ მოახდინა განკარგულება, რომ საერობო გზების შესაკეთებლათ 1902 წელში გადადებულ იქნეს თფილისის გუბერნიისთვის 60,000 მანეთი, ქუთაისისა—50,000 მ., ერევნისა 80,000 მ., განჯისა—47000 მან., ბაქოსი—15,000 მ., ყარსის—2,000 მ. და დაღესტნისა—10,000 მან.

მოგვყავს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორის წესით შეუძლიათ ჩვენის კუთხის მემამულეებს დაახლვევონ ვენახები, თამბაქოსა და ბამბის პლანტაციები ანუ სხვა ნათესობა სეტყვისგან მოსკოვის საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებაში. აღნიშნულ საზოგადოებაში მამული შეუძლია დაახლვევოს მხოლოთ ამ საზოგადოების წევრს; საზოგადოების წევრათ იავლება ის, ვინც საწევრო გადასახადს წარადგენს და თავის მამულს დააზღვევებს. საწევრო გადასახადი ორნაირია: ვინც პირველ ხარისხის დამზღვევია, მან საწევრო ფულათ უნდა შეიტანეს დასაზღვევ თანხის 2 პროცენტი ხოლო მეორე ხარისხის დამზღვევა კი 3 პროცენტი. ახლათ შესულ წევრებს საწევრო ფულის წარდგენაში ის შეღავათი მიეცემათ, რომ მათ ნაწილ-ნაწილათ, თუნდ ათის წლის განმავლობაში, უნდა გადაიხადონ საწევრო ფული. მაგრამ ყოველ წლობით გარდაწყვეტილი თანასწორი ნაწილი. საზოგადოების წევრებათ შეუძლიათ იყონ აგრეთვე მთელ საზოგადოებათ, სოფლებს და აშხანაგობათაც. მამულების დაზღვევა ხდება საზოგადოების წარმომადგენლის დაუსწრებლათ და მამულების დაუთვალღიერებლათ, თანხმართ იმ ცნობებისა და განცხადებებისა, რომელნიც დამზღვევმა უნდა წარუდგინოს აღნიშნულ საზოგადოებას.

ქალაქის გამგეობაში შეიმუშავეს მოხსენება, რომ გამოიცეს სავალდებულო დადგენილებანი მოსამსახურეების დაქირავების შესახებ.

„კავკას“-ის მიერ მიღებული ცნობებით, 7 წარსულ იანვარს უმაღლესათ დამტკიცებულია სახელმწიფო საბჭოს აზრი კავკასიის ცენზურის და ბეჭდვითი სიტყვის წესდების ზოგიერთ დადგენილებათა შეცვლის შესახებ, ახალი კანონის



ძალით, განსაკუთრებული ინსპექტორი, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს თფილისში სტამბებს, ლიტოგრაფიებს და სხვ. და რომელიც აქამდის კავკასიის საცენზურო კომიტეტს ექვემდებარებოდა, ამას იქით კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებაში იქნება. თფილისში სტამბების გახსნის ნებართვა, როგორც წინეთ, საგუბერნიო მმართველობის საქმე იქნება, ხოლო რაც შეეხება ყოველგვარ შეცვლას მსწრაფლობეჭდავი მანქანებსა და სასტამბო საბეჭდი დაზგებისას, მესტამბეებმა და სხვა ამგვარ დაწესებულებათა პატრონებმა უნდა აცნობონ ხოლმე მთავარ-მართებლის კანცელარიას. ამასთანავე ვალდებულნი არიან ყველანი მთავარ-მართებლის კანცელარიას აცნობონ, რომ მიიღეს ნებართვა წიგნის მალაზიის გახსნისა თფილისში, ან სამკითხველო კაბინეტისა და აგრეთვე ისიც, სად იმყოფება ეს მალაზიები ან ვინ არის მათი პასუხის მგებელი გამგე. ვინც ამას არ შეისრულებს, გადახდებთ ჯარიმა არა უმეტეს 50 მანათისა.

**კორესპონდენციები.**

**ბათომი.** რუსეთის საზღვრულ ქალაქების თვითმმართველობის ბიუჯეტს ფრიად საგრძობელი განსაცდელი ეწვია. მთავრობის განკარგულებით მათ შემოსავალ წყაროდან უკვე ამირიციხა ის შემოსავალი, რაც მათ საქონლის თითოეულ ფუთისაგან 1/5 კაპ. ეძლეოდათ. ეს 1/5 კაპ. კი ქალაქის ბიუჯეტში კაი დიდ ჯამს შეადგენდა, მაგალითათ, ბათუმის თვითმმართველობას ამისაგან, საშუალო რიცხვით, 180,000 მანათი შემოდოდა წელიწადში, ე. ი., თითქმის მთელი ბიუჯეტის ნახევარი. ახლა წარმოდგინეთ, თუ ბათუმს საფუთო გადასახადისაგან ამდენი შემოდოდა, სხვა უფრო დიდ ზორტის ქალაქებს, როგორც, მაგ., იდესსა არის, რამდენი შემოსავალი ეძლეოდა ამ წყაროსაგან. და ახლა კი ამ შემოსავალმა უკვლავ ზორტის ქალაქებს თავი დაუკარა და მით ფრთები შეაკვეთა იმ ფართო მოქმედებას, რასაც, თუ უფაღვრის ვერა, ხანდახან მაინც ჩვენს თვითმმართველობები ეცდებოდნენ; მაგალითათ, მართაქედნ და ენძარებოდნენ გიმნაზიებს, სახალხო სკოლებს, თეატრებს, ბიბლიოთეკებს და სხვა ამგვარ დაწესებულებებს. ამ წყაროსაგან იყო რომ ბათომმა საფაო და საქალბო გიმნაზია დაიარსა, დაიარსა აგრეთვე ბირველ დაწესებულებით სკოლა „შუქინის“ სახელობაზე, უფაღვრ წლიურათ გასულ წლიდან ჩვენ ქართულ სასწავლებელს ხუთას-ხუთას მანეთს აძლევს, ეხმარება აგრეთვე აქაურ სახალხო სამკითხველს, გადაწვევა ავტო თეატრი, ბიბლიოთეკა და უკვლავ ეს მან შეძლო საფუთო გადასახადის წყალობით და რის განხორციელებაც ვერ მოახწრო, იმედი ქონდა განხორციელებდა იმავე წყაროსაგან. ახლა კი უკვლავ ზორტის ქალაქების თვითმმართველობებმა ამგვარ მათ გულ-უხეობას სასახევერთ მაინც უნდა გამოემშვიდობნ და უნდა გადაიქცნ იმგვარ კანტელარიათ, სად „შუქინის და გამოდის ქალაქები“, სადაც ქალაქის შემოსავალი მხოლოდ უნდა მოხმარდეს ზოლიციის შენახვას და „იმ ქალაქების“ გადაწვერებს; ეს მიტომ რომ ქალაქის ბიუჯეტი, მაგ., ბათუმისა, საფუთო გადასახადის გამოკლებით ზოლიციისა და თვითმმართველობის კანტელარიას არ მოჩვენს მგონია.

თავდაზირველათ ქალაქის თვითმმართველობის საფუთო კარდასახადიან შემოსავალი ეძლეოდათ იმ ზირობით, რომ ის მოქმედრთ „ზორტის საჭიროებისათვის“, მაგ., ზორტის ქუჩების მოვლა-შენახვისათვის და სხვა ამგვარებისათვის. მარა, შემდეგ თვითმმართველობის მიერ ადრულ შემადგომლობით ამ შემოსავლის დანიშნულებას უფრო გაფართოვდა და თვითმმართველობას ნება მიეცა ეს ფული მოქმედრთ „ზორტის და ქალაქის სხვა საჭიროებისათვის“. ამ „სხვა საჭიროებებმა“, რასაკვირველია, ნება მიცა თვითმმართველობებს საფუთო გადასახადისაგან შემოსავალი მოქმედრთ გიმნაზიებზე, ბიბლიოთეკებზე და სხვებზე. ახლანდელმა განკარგულებამ კი ეს შემოსავალი სულ გამოაცალა ქალაქს და დაუქვემდებარა იგი ფინანსთა სა-

მინისტრს, რომელმაც ეს ფული თავის შეხედულებისამებრ უნდა მოახმაროს იმპერიის ზორტებს.

ამას წინეთ სხდომა ქონდა ზეტერბურგში ~~საქმეთა კომიტეტს~~ საქმეთა კომიტეტს. ამ სხდომაზე ქალაქის ინტერესებს ~~დასაცავად~~ ბათუმის საზღვრულ გამოკების წვერი ბ-ნი ვალსკვი გაგზავნა. ბ-ნმა ვალსკვი ამის შესახებ ანგარიში წარუდგინა ხმოსნებს საზღვრულ 4 ამ თავის მორიგ სხდომაზე; თითოეული ის ზუნქტები, რომლებსაც ის იცავდა კომიტეტის სხდომაზე და სკოლების განსახორციელებლათ ის თხოულობდა თანხას საფუთო გადასახადიან, მან ცალ-ცალკე მოახსენა საზღვრულ და აუწვა ხმოსნებს, როგორც მის მიერ დაცვამ ზუნქტებისა, აგრეთვე კომიტეტის წვერთა აზრი. მაგალითათ, ბათუმის ჯარბის ამომრობა რომ საფუთო გადასახადის თანხიდან მომხდარიყო, ამასე არ დათანხმება კომიტეტი. კომიტეტის წვერებს ამის შესახებ ეთქვათ, რომ საფუთო გადასახადისაგან შემოსავალი უნდა მოხმარდეს ზორტისა და სად ქალაქის ჯარბების ამომრობას და სად ზორტი! როცა ამასე უმასუხნია ბ-ნი ვალსკვის, რომ არ შეიძლება ზორტისა და ქალაქის საჭიროებას სე დაფიროთ ერთმანეთს, ზორტი ცალკე წარმოვიდგინოთ უქალაქოთ და ქალაქი უფოსტოთ, რომ ქალაქის ჯარბების ამომრობა, ქალაქის საფუთოთაგან, საზოგადოთ ქალაქის კეთილ-მდგომარეობა ეს იგივე ზორტის კეთილ-მდგომარეობაა, ეს ზორტსედაც კეთილ გაფლენას იქნისებოთ, — მინისტრის ამხანაგს მ. კოვალევსკის უმასუხნია, „როგორც ჩანს, მე და ქალაქ ბათუმის წარმომადგენელი ვერასოდეს ვერ შევთანხმდებით“. ამგვარივე მასუხი მიეცათ ქალაქის საფაოთყოფის საფუთო გადასახადისაგან შენახვის თაობაზე, მხოლოდ ამ კითხვისათვის ზედ დამატებით, „ავათყოფებს დაადევით გადასახადი და საფაოთყოფის ხარჯი მით დაფარეთ“. ამის შესახებ ვერაფერი სასურველი შედეგი ვერ გამოეწვია იმ მასუხს, რომ ქალაქის საფაოთყოფით საზოგადოთ სარგებლობს დარბი ავათყოფები, რომლებსაც რა უნდა გადაიხადონ, როცა მათ არაფერი არ გაჩნიათო. ამგვარი ბედი ეწვია სხვა კითხვებსაც. ბ-ნი ვალსკვის წუხილს, რომ ქალაქი საჭიროებულ მდგომარეობაში ჩავარდება, კომიტეტის წვერები ცარიელი თანაგრძობით მიგებებოდნენ. ზოგაერთი კითხვების შესახებ, მაგ., ჯარბების ამომრობის, წველის მიღებით გატანის და სხვა ამგვარების შესახებ მინჯან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი არ დათანხმებოდა კომიტეტის დადგენილებას. ამის გამო ეს კითხვები ხელ-ახლა გაიჩვენა მინისტრთა კომიტეტში და იმედიც გამოთქვა ბ-მა ვალსკვიმ, რომ შეიძლება ზოგაერთი შუამდგომლობა დააკმაყოფილონ ჩვენი თხოვნის თანხმებით. მეც ვფიქრობ, რომ შეიძლება ზოგაერთი კითხვები მართლაც დააკმაყოფილონ. მარა ეს კი ცხადზე უცხადესია, რომ თვითმმართველობის მოქმედებას და მათ მონაწილეობას სახალხო განათლების საქმეში შეკლებისა და სხვა ამგვარ დაწესებულებების გამართვით, ფრთები შეაკვეთა და ვფიქრობთ, რომ საფუთო გადასახადის ფინანსთა სამინისტროსადმი გადაცემით სწორეთ ამას მიახწიეს.

კატო.

**სოფ. ქარელი** (გორის მაზრა). ამ სოფლის მცხოვრებთა რიცხვი თხისს კომდს ადებატება, მაგრამ მიუსედავთ ამ საღბთა სიმრავლის ამ სოფელს ბგარი რამ შესაფერი სიკეთე ავლავ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, ასეთი მრავალკამლოფანი სოფელი რომ გურიაში იყოს, უფაღვრ-გვარ სასიკეთო დაწესებულებებით სრული იქნებოდა, მაგრამ, დღეს თუ სოფ. ქარელი უკანა დგას, ეს იმიტომ, რომ ქართლშია და არა გურიაში, ან იმერეთში. აქ ძლიერ-ძლიერობით არსებობს ერთ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, სადაც მუხჯური მეთოდით სწარმოებს სწავლას... მასწავლებლებათ რუსი ცოლქმარი არიან; სიმართლე უნდა ვთქვათ: ეს მასწავლებლები ძალიან მოწადინებით ასწავლიან ბავშვებს, მაგრამ მარტო წადილმა რა ქნას, როცა სოფელს ბავშვებს, რომელთაც რუსულის ენის ადღობ არა აქვთ ადებული, მასწავლებლებისა არა ეყურებათ-რა და მასწავლებ-



ლებს კიდევ ამათი... მასწავლებლები, სწორად, რაკი ბავშვებს ვუ-  
დარას მიახვედრებენ,—მით უფრო განუყენებულ სკანებს,—ჯვართ  
შუბლზე ხელს იტაცებენ და ისე დგანან კარგა დიდ-ხანს გამტრე-  
ბული, შემდეგ იძულებული ხდებიან, სიტყვების ასახსნელად ექსი-  
კონების ძიებას შეუდგენ და იმის ხსრეკაში დაკარგონ სწავლისთვის  
დაწინებული დრო!.. მინტ-და-მინტ ვიტყვი: ქება და დიდება ამათს  
მოთმინებას, რომ ასეთი უხერხული ზირობების მიუხედავად განსტრძო-  
ბენ თავიანთ ნაკისრს თანამდებობის ასრულებას...

რაც შეეხება აჭურ-გლეხობას, მეტად დაქვეითებულია იგი გო-  
ნებრივად, რომელსაც ემატება ქაზებრივი სიღარიბე-სიღატაკე. ან ვი-  
როგორ არ იქნებიან ღარიბ-ღატაკნი, როცა გლეხების უმეტესი სა-  
წილი მხოლოდ მიწის მუშები არიან და მიწა ვი არ გახნისათ!.. მა-  
რთადაც, როდესაც ამათს ძველებს მიხომილია ქაზათ მტრედე-  
ნი მიწა („ნადელი“), მაგრამ მას შემდეგ თითოეული ოჯახი ისე  
გამრავლებულა, რომ დღეს ის „ნადელი“ ფეხის დასადგმელათაც  
აღარა ეოფნით. ამგვარად მიწის სივიწროვემ ესენიც იძულებულ ჰყო-  
ცა რეთ გამოსულიყვნენ—ისიც იქვე ადგილობრივ (სადგ. ქარელი)  
რკინის გზაზე სამუშაოთ, მაგრამ აქაც ისე ემართებათ, რომ იტყვი-  
ან: „საითაც გავიქევი, იქით წავიქევი“. მაკალიათ, ადგილობრი-  
ვი (მუ-ნ-ე დისტანციის და მუ-ნ-თუვე „ოკოლადკის“) გზის ოსტა-  
ტი რაკი ხედავს ამ ხალხის გაჭირვებას, ფეხს აჭერს და მანამ აწვა-  
ლებს და მუშათ არ მიიღებს, სანამ ჯერ თვითონ არ დაიჭერს წლი-  
ურ მოკვამკირეთ, ასე, რომ, შინაურ ზირობებს უწერს „მოსე მწე-  
რადურ“ ხრიკებით დაწლიურ ჯამკირათ იმდენს აძლევს, რამდენიც  
თათონ ხებას... თათონ ვი თითოეულ მათგანის ჯამკირათ რე-  
ნის გზიდან იღებს თვეში 13—15 მანეთადე. ეს ორი წელიწადია,  
რაც ამ ვაჟ-ბატონს ამგვარ ზირობებით დაჭერილი მოკვამკირებუ-  
ეავს „რემონტის“ მუშებათ, და ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც  
არ დაკითხებია თავის სინიღისს, რომ ასეთი „ექსპლუატაცია“ დი-  
დი სიწმინდრეა ხნებობისა... ის ზირობით გაიძახის: „მე ხომ ძა-  
ლით არავის ვიყენებ მოკვამკირეთ, ისინი ზირობით თვითონ მეხე-  
წებიან და მამ ხეხებს რას შეგუბებია!“...

— ვი, ჩემო ბატონო, „დაროჯნი მატკერო“, მაგრამ სამუსიცი  
კვი საქონელია!.. ჯერ ისედაც რა სხსრობიელი ჯამკირი აქვს „რე-  
მონტის“ მუშას, რომ იქიდანაც არ გამოავლიჯ-გამოაწიწნოთ?!

ბუკი გლეხი სიმონ.

**ს. მათხოჯი** (ქუთ. მარა). რამდენიმე თვეა თ-დ ენუქი ლორ-  
თქიფანისძის მეთაურობით დაარსდა ს. ახალ-ბუდისეულში სსოფლო  
სავაჭრო მადხის; წევრათ მიიღება ეველას ამ სოფლის მცხოვრები  
განურჩეულათ წოდებისა, სწევრო ფული ათი მანათია. ჯერ-ჯერო-  
ბით 45 წევრია. ამხანაგობამ აიშენა საკუთარი ხარჯით მატარა ხის  
შენობა, რომელშიაც მოთავსებულია ვაჭრობა (სახარმხოთურთ). მარ-  
თადაც, ჯერ ეველას არ შეუტანია სწევრო ფული, მაგრამ ეველანი  
შეცადინობენ, შეუერთდენ ამ ახალ დაწესებულებას. ვაჭრობა დაიწვეს  
1 სექტემბრიდან... 27 ნოემბერს მოხდა სამთავის მოქმედების  
ანგარიში. ანგარიშიდან ცხდათ ჩანს, ამხანაგობის საქმე რიგისათ  
მიღის, რამაც იქვე დასწრე საზოგადოება ადტაცებაში მოიყვანა; ან-  
გარიშმა დაანახვა მათ, რომ აქამდინ მათი კერძო ვაჭრობათს სა-  
უადი საქონელში მოკება ისევე კერძო ვაჭრობის ჯიბეში მიდიოდა,  
და დღეს ვი ეს მოკება მათვე უბრუნდებათ და ბევრმა ახლმა ზირო-  
მა განაცხადა ამხანაგობაში ჩაწერის სურვილი. რომ ეს ახალი საქმე  
რიგისათ წავიდეს საჭიროა დაუდალ ვი შრომა და მეტი უურადლება  
ამხანაგობის საქმეში, რასაც იმედი გვაქვს, შეიძლებს თ-დი ენუქი  
ლორთქიფანისძე თავისი დაურარებული და გულ-კეთილი შრომით.

ს. მათხოჯის მცხოვრებლებმა გამაიყიდეს ამ ორი წლის წი-  
ნეთ სახსრულევის საზოგადოებისგან სსსამინდე—„მადხის“, რომელიც  
აკებულია იყო მთელი საზოგადოებისგან, სსსოფლო კანტე-  
დარიის გვერდით. გადმოიტანეს ს. მათხოჯში ამ მიზნით, რომ  
შიგ შეენხათ თათო კომლზე 1 ფუთი მოკრებილი სიმიანი

და შემდეგ ვისაც დაჭირდებოდა, ესენებიანთ. ამის წესდება, თუ  
არა ვცდები, შეიმუშავა ერთი ამ სოფლის წევრთა მიერ დადგენილი,  
ბ-ნ ლ. ჩიმაკაძემ, მაგრამ მას შემდეგ რაც ეს საქმე დაიწყო, იმე-  
ფელში გადმოიტანეს, მისი დაწინაურების განსახორციელებლათ არა-  
ვის უხერხულად და არის უურადლებათ მიტოვებული. მოვარგებ მა-  
შინდელ ამ მადხისის შეიდეგლთ და მოთავყებს: მარტო ეიდაც და  
სოფელზე ფულების გაწერა არ ვმარ და განსხორციელება ეჭირვება,  
რაც შრომის მოთხოვნა. სათქვამია: „ერთი მამლის ეივილით, დამე  
არ გათენდება“, და საჭიროა კვლავ მოვარგნათ საზოგადოებას,  
რათ არის უურადლებათ მიტოვებული 150 მანათათ დირებული სა-  
სიმიინდე, სოფლის ფულებით ხაიდი? ხუ თუ არ გამოვრათ მთელ  
სოფელში ამ საქმის გულ-შემსტკივარი?! მაგრამ ეველამ კარგათ  
იღის სათქვამია: „საერთ ეანა ბუზმა მოჭამა“; სადაც გამოსარჩენს  
არ მოელის, არც თავს იტყვენ.

კლასიონ გელაძე.

**რუსეთის ცხოვრება.**

სარკოვის მოამდინის მწარმოებულათ მეოთხე კრებაზე ირჩედა  
კითხვა ურთიერთ დახვედვის შესახებ. ახლა იგივე კითხვა — გარჩხ  
არჩხეულებრივ კრებაზე. დახვედვის წინააღმდეგი იყვენ „დნებრის  
საზოგადოება“, რომელსაც ქვანახშირის დიდი წარმოება აქვს და აკ-  
რეთვე მდიდარი ხანშირის მწარმოებელი კარხოვი. ისინი ამბობდენ  
— დახვედვაში სავალდებულო მონაწილეობა — დადტაცება არის და  
რომ ასეთი წესი შემოვიღათ, საჭიროა წარმოებათა ეველას მონაწი-  
ლეების თანხმობა. გარდა ამისა განსახადიც დიდათ. საქმე ვი  
ისეა მოწყობილი, რომ თუ ეველას მწარმოებელი არ მიიღებს მონა-  
წილეობას, მაშინ დამხვედვი საზოგადოება ვეღარ შედგება. ანტრა-  
ციტის მწარმოებლებმა განაცხადეს — საზოგადოებაში მონაწილეობას  
მივიღებთ, მარა განსახადი შეგვიამირეთ, რადგან ჩვენ წარმოებაში  
ადამინის სიცოცხლეს არ მოელის იმდენი შიშიო. ბრექტის აკ-  
ტორა, ინჟინერი რაბინოვიჩი ამტკიცებდა, რომ დახვედვას აქვს,  
როგორც მატერიალური აგრეთვე სნეობრივი მნიშვნელობათ. მან  
ხათლათ დასტა მუშების უკიდურესი მდგომარეობა და გათახსირება,  
რაც მუდმივ განხეთქილებას ბადებს მწარმოებელათ და მუშათა შო-  
რის. ბოლას კენტე უყარეს შემდეგ კითხვას: სავალდებულო იყოს  
თუ არა დახვედვაში მონაწილეობის მიღება და 30 ხმით წინაა-  
ღმდეგ ექსისის გადაწვეტეს სავალდებულო იყოს. გრემევისის რა-  
იონის ანტრაციტის 30 ფარმის წარმომადგენელმა განაცხადა — ჩემი  
რწმუნებულნი დიდი სიამოვნებით ეგებებიან სავალდებულო დახვე-  
ვას. ბოლას დადტინეს ურთიერთ დახვედვაში მონაწილეობას სა-  
ვალდებულოა მხოლოდ იმ დრომდის, სანამ ეოველ წლიური გადა-  
სახადი არ გადაცილდება ეოველი წარმოების, ხელ-ფასის 4 ბრო-  
ცენტს.

— 1903 წლისათვის სსსელმწიფო საბჭოს რკინის გზების-  
თვის გადაუღვია 162,390,403 მ., მარშან ვი ამავე საგნისთვის  
გადადებული იყო 39.251.319 მ.

— სარკოვი ირჩევა ერთი ფრიად სეურადლება საქმე. სოფელ  
ხავლოვისის მცხოვრებლებს ბრადლებათ მოავრობის მიერ აღკრძალულ  
მწვანელებობაში მონაწილეობა. სსმართლში მიტეულია ბევრი გლეხი.  
საქმის გარჩევა უვევ დაიწყო. აი რას წერენ ამის შესახებ სარკო-  
ვიდან „ნოვოე ვრემის“. ოლქის სასამართლოს შენობის წინ, სა-  
დაც დაწინაურდა საქმის გარჩევა, დილიდანვე თავი მოიყარა ხალხმა  
და ელის ბრადლებულათ მოყვანას. 12 საათის სასეგარზე ცინიდან  
დაიძრა ხალხი. წინ ეტლით მოუძღვის ტუსადებს „ისპრანკი“, მან  
შემდეგ ურმით მოყვით ორი დასახირებული გლეხი; ერთს ფეხი  
სულ არა აქვს; შემდეგ ოთხი დედაკაცი ძუძუ-მწოვარა ბავშვით, მან  
შემდეგ რამდენიმე გასათხოვარი ქალი, შემდეგ ახლგახდა ბიჭები  
და გლეხები, სულ ეველანი, ტუსადის ტანისმოსით, ერთმანეთს  
ევერებიან; გარშემო ძლიერი დარაჯია. სასამართლოს მატარა დარ-  
ბასში სასეგარი ადგილი დაცლიდა ბრადლებულებისთვის. ეველას-



თვის ცალკე ადგილია დანიშნული. ამ საქმის გარეგანად დასწრებად კამოცხავნილი არიან: მართლმსაჯულების სამინისტროსაგან — ვიცე-დირექტორი შვეკლოვიტოვი, ობერ-პროკურორისაგან — გოლიცინსკი, სინოდისგან — სკვირცოვი, ყანდარმა კორნეისისაგან — ზოდ-ზოდ. საზოგადოებრივი, შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან — ზოხანსკი და მინისტრის ბოგოლოუბოვი. ხათხათაგან გარეგანად დასწრების ნება სუთ კაცს მიცეს, გარეშე მსუბუქელთ არავის არ უშვებენ, მხოლოდ შეუძვეს სუთის ოლქის სასამართლოს ბრალდებული შერე-შეტყვესი და თავმჯდომარე კულაკოვი. ბრალდებულთა შორის დიდი სიხუჟა. ყველანი ჩაფიქრებული არიან; ყველასე მეტ უურადლებას იქცევენ ტოდოსიენკო, შუა ხნის კაცი, დადგრებილი სახისა, რომელიც თავის თავს წინასწარმეტყველ მოსეს უწოდებდა, და აგრეთვე სხუელი ბიჭი, რომელმაც ის ბრველათ იწამა; ოთხი ბრალდებული, რომლებიც თავისუფლათ არიან, ბევრით განიხილეს დასარჩენების-გან. ტოდოსიენკო ცალკე უკეთ დამწყვედულია, რადგანაც სხუებსე დიდი გავლენა აქვს.

— რუსეთის ბუჭდვითი საქმის მოდვწყობა საზოგადოებაში აღ-ძრულია კითხვა იმის შესახებ, რომ ბეტერბურგში მოაწიონ საზო-გადო თავშესაფარი და საცხოვრებელი სტამბების შეკარდებისათვის.

— ფინანსთა სამინისტროსთან შედგა განსაკუთრებული კომის-სია, რომელმაც უნდა შეიმუშოს საზღვარ-გარეთიდან შემოსატან სა-ქმელის რაოდენობის შესამცირებელი ზომები.

— როგორც ვიცით, ამ ბოლო დროს რუსეთის შიდა გუბერ-ნიებში შიმშილობა ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა. შიმშილობა კი თავის მხრით იწვევს სხვა-და-სხვა უბედურებას, როგორც მაგალითათ, მარტოების განხანს და გაავრცელებს. „რუს. ვედიმოსტი“ ამბობს: „დღეს ცუდი კვების ნიადაგზე განხილი ებიდეიური ავთმეოფო-ბანი და მათში საოფლე და სურავანდი (დრძილების სხუელ.) მოდებუ-ღია ტამბოვის, ენისვის, უფის, აკოდინის და სარატოვის გუბერ-ნიებში. გასულ წელს „წითელი ჯვრის“ საზოგადოებას ამ უბედუ-რებასთან საბრძოლველათ დაუხარჯავს 220 ათას მანათზე მეტი. მა-გრამ უფრო დიდი შიში და გაცირვება მაინც წინაა, განაზიფურზე, როცა საკვების უქონლობა უფრო ძლიერათ იჩენს თავს.“

**ს ა ზ დ ვ ა რ გ ა რ ე თ .**

**ბელგია.** რესპუბლიკის უმაღლესი მართველობა შედგე-ბა სამოცი წარმომადგენელიდან. ამის წინეთ ამ წარმომადგე-ნელთა შორის აარჩიეს ვინმე დოქტორი ფრანციოზი, ცნო-ბილი მრავალი სამეცნიერო გამოკვლევათ. კანონით სახელმწი-ფოს უმაღლესი მართველობის წევრი აზნაური უნდა იყოს. ამიტომ ფრანციოზსაც ამორჩევისათანავე ებოძა აზნაურობა; მაგრამ დოქ-ტორმა აზნაურობაზე უარი განაცხადა ვინაიდან მისი სიტუვათ აზ-ნაურობის ბოძვათ არც ერთ მთავრობას არ შეუძლიან კაცის გა-კეთილმამილებათ. ფრანციოზთ მაინც დანიშნულ იქნა 60 წარმო-მადგენელთა შორის, ხოლო რესპუბლიკის მართველობამ ამასთანავე დაადგინა კანონი კითხვა აზნაურობის წოდების შესახებ. კით-ხვა დას რომ საჩოთიროა, რადგან მრავალნი ეადულობდენ ქრთა-ბით და სხვა-და-სხვა ინტრიგებით მთავრობისაგან „ეკეთილშობილ“ წოდებას.

ბელგიელი სოციალ-დემოკრატები ძალიან ცდილობენ სოციალთა, საარჩევანო უფლების შემოღებას და ხაზინც დიდათ თანაუგრძობის იმათ განზრახვას. 29 იანვარს ზალატას უნ-და განეხილა სოციალისტთა წინადადება ამ საქმის შესახებ. რადგა-ნაც მთავრობა მანიფესტაციებს მოკლოდა, ამიტომ ამ დღისთვის მას ჩვეულებრივი ზომები მიადო. ზარდამენტიას, სამინისტროები-სა და სასახლესაკენ მიმავალ ქუჩებში მთავრობამ დიდ-ძალი ჯარი და პოლიცია დააყენა. საქმემ მშვიდობიანათ ჩაიარა და ჯარსა და მცხოვრებთ შორის შეტაკება აღარ მომხდარა, რადგან ზალატამ სო-ციალისტთა წინადადების ნაცვლათ ამ დღეს სხვა საქმეები განიხილა. ხაზინი მაინც ბლომათ შეიკრიბა ქუჩებში და ხშირათ გაისიდა:

„გუმარჯოს სოციალთა საარჩევანო უფლებას! „გუმარჯოს რეს-პუბლიკასა!“ ზარდამენტიდან გამოსვლისს ხაზინი აღტყვებით მიე-კება სოციალისტ-დემუტატებს. შემდეგ მანიფესტაციებში გამარჯონ „Le Peuple“-ის რედაქციისკენ, სადაც ვანდერკლემს უსწრებდას განდამხა ხაზინს: „თუ დღეს ასე აღელდა ხაზინი, რამდენი-სამე დღის შემდეგ, როდესაც ზალატა ურჩობას გაწევს და სოციალ-თა-საარჩევანო უფლების შემოღებას გადაელობება, რეპოლიუციაც მოხდება“.

**საზოგადოებრივი.** როცა იუსტიციის სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს ზალატაში ლაზარკი ჯალათებისა და იმათი თანამეშვეების ჯამაგირზე ჩამოვარდა, არიუვის დემუტატმა უფლიან დიუმამ ურჩია ზალატას, სულაც გავაუქმეთ სიკვდილით დასჯა საფ-რანკეთშიო:

„იმედი მაქვს, რომ ზალატის უმეტესობა მხარს დამიჭერს და სოფრანკეთის კანონებიდან ამ სასჯელს ამოშდის. სიკვდილით დას-ჯა სწორეთ სამარცხვინო ბუჭედს ასეამ ჩვენ კანონებს (მემარც-ხენი ტაშს უკრავენ). სიკვდილით დასჯა გაუქმებულათ შეიცარათაში, იტალიაში, ჰოლანდაში, საბერძნეთში, ზორტუგალიაში და სხვა ქვეუ-ნებში, მას სოფრანკეთში რატომ ვვლარ გავაუქმებთ? ათი კაცი რომ შეცდომით გაამართლონ და მარტო ერთი კადვე შეცდომით სიკ-ვდილით დასაჯონ, ამ მეორე შეცდომას მაინც მეტი მნიშვნელობა ექნება. ეოველთავის უნდა გვანსოვდეს, რომ მოსამართლედ ადამიანის და ადამიანი კი ხშირათ ცდება. რაც უნდა საზარელი დანაშაული ჩადინოს კაცს, მაინც ეოველთავის უნდა გვანსოვდეს, რომ შეცდო-მით სიკვდილით დასჯა უფრო საზარელი საქმეა. ირწმუნების, რომ სასჯელის შიში კაცის მველელს აყენებს, ხელს უდუნებს, უშეშებს. ურცხვი, უთვალავი მაგალითი კი სულ სხვას გვიმტკიცებს. განა ჯავ-რისგან სისხლ-მორეულ, გონება გამაგებულ კაცს მოაკონდება რა სასჯელი უწერია კანონში, ან ჯალათი გაანსენდება? კაცის მველე-ლების უმეტესობა სულ მუდამ სიკვდილით დასჯას ესწრება და თა-ის თვალთ ხედავს ამ საშინელ სასჯელს. ეს საზარელი საზნახვი-უფორც აღელბთ, იმიტომ რომ სისხლი სისხლს მოითხოვს (მე მარცხენი ტაშს უკრავენ). მოელი სოფრანკეთი ემზადება, რომ ვიქ-ტორ ჰიუკოს ასი წლის იუბილეი იდღესესწაულოს. ეს დიდებული ბოეტი გულწრფელათ თხოულობდა, რომ სიკვდილით დასჯა გაუქ-მებულყო. თუ გვინდა, რომ მართლად ზალატა ვცეთ იმისი ხსენე-ბას, იმაზე უკეთეს ვერას ვიზამთ, თუ ამ სასჯელს გავაუქმებთ“.


**ბერმანია.** საქსონიაში დობელის რესპიენის ოლქში დემუ-ტათთ სოციალ-დემოკრატთი აარჩიეს. ამ ოლქს 1890—1898 დწებში თავის წარმომადგენლათ რეისტატში კანსერვატორი უკეთ და, 1898 წელს აქეთ დღევანდლამდე სოციალ-დემოკრატთი. ახლა კი მუბატონის კანდიდატმა, 5,340 კენჭი ძლივს მიადო. სოციალ-დემოკრატების კანდიდატს კი—11,787 კენჭი მიუღია. აქედან ჩანს, რომ ხაზინ მუბატონების პოლიტიკა და ბაუბის მომტება არ მო-წონს. თითონ მუბატონების გასუთი „დუჩე ტა.“-ი ოქტობრს იქ-ნება მომავალ საზოგადო არჩევანში საქსონიის 23 საარჩევანო ოლ-ქიდან 16 ან შეიძლება 18-იც სოციალ-დემოკრატების ხელში გა-დავიდეს.

**ინგლისი.** ინგლისის ზალატა შეუდგა მთავრობის კანონზო-რეტის განხილვას, რომლის მიზანია კამათის თავისუფლების შეზ-ღუდვა და უმთავრესათ მიმართულია ირლანდელი დემუტატების წინა-ადმდეგ, რომელთაგან ობსტრუქცია ეოველთავის ადვილი მოსა-ლოდნელია.

თხზოზიციის პროექტის წინააღმდეგოა. კემპელ-ბანერმა მოით-ხოვა პროექტის კომისისაში გადაცემა. მისი აზრით, ეს კანონზო-რეტი ზალატის დამამცირებელია.

„ზალატა კანონების დასამზადებლათ გამართული უბრლო ფა-ბრიკა როდა, ზალატა მოელი ერის მაკიერათ სახელმწიფო საქ-მეებს ადევნებს თვალ-უფრს“. ამის გარდა კანონ-პროექტს სიძულ-ვილისა და მტრობის ელფერი ადევს, მართალია, იმ





დემუტატების წინააღმდეგ, ვინც კი ზღაპრის თავგდომარეს არ ემორჩილებიან, მეტი სასჯელი უნდა დაწესდეს, მაგრამ, მთავრობა ამ საქმეში წრეს გადასულა. დამსაზავ დემუტატის ზღაპრის კან-დეგნა შეიძლება, მაგრამ ის კი რიგი აღარ არის, რომ ამ დემუტატს მოთხოვან, მეტი ზღაპრის თავგდომარესთან ბოდიში მოიხადოს.

ზნობიანის წინამძღოლის შემდეგ ირლანდიელების მეთაურმა ჯონ რედმონმა ილაპარაკა. ორატორის სიტყვით, ზღაპრის მოქმედებას აუარებული საქმეები უშლის ხელს და არა ცუდი წესდება. ახლა ზღაპრს ექვამდე სასუსა საქმეებით და ამიტომ ვერც აუდის მას. ზღაპრს ახლა უბრალო მსახივან და მხოლოდ მინისტრების ბრძანებას ასრულებს. ამიტომ წესდების შეცვლა საქმეს ვერ უშველის. უსათუოდ საჭიროა ადგილობრივი კანონ-მდებელი კრებები დააწყოსო და საიმპერიო ზღაპრების დიდ-ძალი საქმეების ნაწილი ამ კრებებს გადაეცემა. ურჩი დემუტატების დასჯის თაობაზე რედმონ-დმა თქვა: ცხადია, ეს სასჯელები ირლანდიელებისთვისაა დაწესებული, მაგრამ მთავრობას ტუეილათ ექნება იმედი, რომ ამ სასჯელებით ირლანდიელ დემუტატებს მათი მოვალეობის ასრულება დაუშვალსო.

**ისპანია.** ისპანიის სამრეწველო ცენტრებში მუშათა დიდი დეფიციტია. გათიფტა გათიფტაზე ხდება. გათიფტათა დამხმარე კომიტეტები ქუჩა-ქუჩა აკრებენ შეწირულებს; ბევრი კანტაღლისტიც უწვევით მათ ხელს დახმარებისას.

**სამხრეთ-აფრიკა.** ამი ისევ ისე ცვალებადობით მიმდინარეობს. ბოლო დებულები კი უფრო ხშირათ ახლა ინგლისელების დამარცხებას ვაპტობიანებენ.

ლორდ კიტჩენერი ძალიან ცდილობს, რომ დევეტი ხელთ იგდოს. ამ ბოლოს დიდ-ხანს ემზადა, რომ წრე შემოეფლო, და მოემწედა. მთავარ-სარდალმა მოაწერა კიდეც ეს საქმე და დევეტი მართლაც და მოამწედა «გაწრისა და ავს ალაგს»: ინგლისის ჯარი უკვლავ მხრიდან მისდევდა დევეტს და ისეთ ადგილას მიიყვანა, სადაც უკვლავ მხრიდან ბლოკაჟუსებია აშენებული და ბლოკაჟუსებ შუა კიდე უკვლავს რკინის მავთულის დობუკა გაულებული. ამ შედობილ ადგილს 60 მილი სიგანე ქონდა და 100 სიგრძე. აი ამ ადგილას მოამწედა დევეტი 2000 კაცი. ინგლისელებს ეგონათ ხელში ჩაიგდეს; კვლ-დ-კვლ მისდევდენ და ერთ წამს არ ასვენებდენ. როცა დევეტი თავისი რაზმით შედობილ ადგილს და ბლოკაჟუსებს მიადგა და დაინახა, რომ ვარ შემოტრეშულ იყო მტერი, თავისი ჯარი წვრილ-წვრილ რაზმებით დაეო. და უბრძანა, რომ დობუკა გავრღვიათ და გასულიყვენ როგორმე. ბურები დობუკა ეცნენ. ინგლისელებიც წინ დაუხვდენ და 233 ბური მოკლეს, დაჭრეს და ტუეკთ წაიყვანეს: მაგრამ დევეტი კი ამათში ვერ იზოგეს. დევეტს თურმე რაც ხარი ეავდა სულ ერთათ მოუყარა თავი და დამე მავთულის დობუკა დააჯანს, დობუკა ერთს წამს გვერდზე მოექცა და დევეტი თავისი რაზმით, და ფურგუნებით განთავისუფლდა. მარტო სამი კაცი დააკლდა.

კიტჩენერი ბრეტორიიდან იტუბიანება, რომ 2 თებერვალს ცხენოსანთა რაზმმა, რომელიც მტერს ზეურავდა, უხერხულ ალაგას აუტყეს ბრძოლა ბურების ძლიერ რაზმს; თერთმეტი მოკლეს და ორმოცი დაჭრეს, ვიდრე ჯარები სიმავრეებს მოეფარებოდენ.

28 იანვარს სამხრეთ-აფრიკის პოლიტიკის რაზმი ვარტანდერგების ახლო უფრო მრავალრიცხოვანმა მტერმა განდევნა სარადით.

კლიპრიველთან ბრძოლის დროს, რომელიც კიტჩენერის დებუ-შაშის მოხსენებული, 150 კაცი ინგლისის ცხენოსანი ჯარისა და-მარცხეს; მოკლულია 12, დაჭრილი 48.

\* \*

სიდან მოხველ, სიდან უმოიქერი, გოგუტუნავ, ამ მღელვარე ქალაქში! ნუ თუ შენცა, შენც, პატარა არსება,

ბედსა ცდი აქ ლუკმა-პურის ძებნაში? ნუ თუ შენცა უღმობელმა სოფელმა, ჩაბოროთა თავის ბილწსა კლანჭებში, და ღერი ცრემლებს, ებრძვი ძუნწსა ცხოვრებას, ქანაობ მს დაუნდობელ ტაღლებში!

თავს არ გხურავს, ფეხთ არა რა გაცვია, ტანთ გიფარავს დაკონკილი საცმელი, ზამთრის სუსხი გატანს ძვალსა და რბილში, შეგყინვია თვალზე ობოლი ცრემლი!..

და ლამე-კი, საღმე ერთსა კუნჭულში, მიეგდები შენი ძველი კონკითა, რომ დილითა განაგრძო ეს მონობა, ჰლიოა დღენი ამგვარ მწარე ყოფითა!

შენ არ გატკობს მშობლის ტკბილი აღერსი, ერთობ მალე გამოგტაცეს დედის მკერდს. გახსოვს იგი, იგონებ მას, გოგონავ, იგონებ და ჩუმათა ღერი საღმე ცრემლს!..

ეხ, გოგონავ, ტანჯვის შვილო, პატარავ, იცი განა მომავალში რა გელის? განა შენებრ ტანჯულთაგან არ შედგება დაცემულთ გზა, გზა ტანჯვისა, გზა მსხვერპლის!


კ. გოგოლაძე.

### სამეფუნარო შადევი

(ისტორიული რომანი 1841 წლის გურაის ცხოვრებადანი) გ. ნინოშვილისა. (გაგრძელება. — იხ. № 6).

— სწორეთ გიოხრა ყურებს ვერ ვუჯერებ! — დაწყოა გიორგიმ კარგა ხნის ჩაფიქრების და მღუმარების შემდეგ: — ჯანყი, ანუ ხალხის არეულობა, ესეთი ხელ-წამოსაკრავი საქმე არ არის... ამ შემთხვევაში მე ვალათ მძევს რაც შემოძლია, რასაც მივხვდები, პირუთვნელათ ვალია რა. მე ამას ვიტყვი, რომ ვინც ჩვენ ხალხს რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებას ურჩევს, იმას ჩვენი ქვეყნის დაღუბვა მოუწადნია. ან, რომ თქვას კაცმა, რა გვაქვს ჩვენ რუსეთთან სასაყვედურო? მე მგონია ჩვენში ბევრმა კარგათ იცის, რომ ჩვენი ქვეყანა რუსეთს ომით და ძალადობით არ დაუბყრა, არამედ ჩვენი რუსეთთან შეერთება მოხდა ჩვენივე სურვილით. ჩვენი ქვეყანა შეერთდა რუსეთთან იმიტომ, რომ ჩვენი მთავრებ-მეფეების ურთაერთ შორის ჩხუბების და ცარცვა-დღეტის გამო სრულიად დაუძლურებული ვიყავით და მოველოდით — აი დღეს, აი ხვალ ავგიკლებს სპარსეთი, ოსმალეთი, ლეკეთი და სხვა ბარბაროსი ხალხიო. რა რომ რუსეთს შევეერთდით, მას შემდეგ ამ მხრით სრულიათ უშიშარნი შევიქენით. რა ვიქნებოდით აქამომდე, რუსეთს რომ ჩვენთვის პატრონობა არ გაეწია? დარწმუნებული ბძანდებოდეთ, ჩვენ ვიქნებოდით მაშინ ბარბაროსი ოსმალეთის, ანუ ეგეთივე ბარბაროსი სპარსეთის ყურმოკრილიცა. მხოლოდ რუსეთმა დაიხსნა ჩვენი ქვეყანა ამ უბედურებისაგან. ეს ყოველივე უნდა ვიქონიოთ სახეში და ცალ-მხარი მსჯელობა აღარ მოგვივა. რაც შეეხება მას, რომ გლენ-კაცობა ცუდ მდგომარეობაშია, ცალკე თავად-აზნაურობა იმსახურებს და ცალკე მთავრობაო, ამას თუ ბძანებთ, ამისი მეც თანახმა ვარ. არც ერთ რიგიან სახელმწიფოში გარდა რუსეთისა, ბატონყმობა აღარ არსებობს. ასე გასიჯეთ, თვით გაუნათლებელ ოსმალეთშიაც კი მოსპეს ეს საზარელი და სი-რცხვილეთული სენი — ადამიანის მონობა. მაგრამ ამასთან იმა-საც ვიტყვი, რომ დღეს რუსეთშიაც ძლიერ გაცხარებული ლა-პარაკი და მოქმედება მონობის დარღვევის და გლენთა მდგო-მარეობის გაუმჯობესებისათვის; საუკეთესო კაცები ამისი მუ-





შანი და მოხრენი რიან. იმედია, აღრე, თუ გვიან აღსრულე-  
ბულ იქნება ვგ სამართლიანი წადილი, ესე იგი რუსეთშიაც  
მიენიჭება გლენ-კაცობას თავისუფლება. რა თქმა უნდა, რომ  
ააბის ჩვენ გლენ-კაცობასაც ეშველება და გადაეღება კისრი-  
დან მონობის უღელი. ამისი შემყურადე უნდა ვიყუეთ, თა-  
რემ მეტი რა გზა გვაქვს? თუნდაც, რომ ძალიან აჯანყდეს  
ჩვენი ერთი მუჟა ხალხი, რას გახდება რუსეთის მრავალ-რი-  
ცხვიან, რამში გაეარჯიშებულ ჯართან? მგონია, დიდი გონიერება  
არ უნდა, რომ კაცმა დაინახო ჩვენი უძლურება: ჩვენ არც  
ჯარი გვყავს, არც ფული გვაქვს, არც თოჯ-სარბაზნები და  
ტყვია-წამალი. ამასთან, გარდა დაუძლურებული სპარსეთისა  
და ოსმალეთისა, რომლებიც ისე გვიყურებენ, როგორც წი-  
წილას ქორი, ჩვენ ქვეყანას არ იცნობს არც ერთი ხეირიანი  
სახელმწიფო. რაღა ბევრა განვაგრძო, თუნდაც რომ ძალიან  
მოვიწადინოთ და სასურველიც იყოს, ჩვენ ქვეყანას არ შეუ-  
ძლია რუსეთისგან გამოკალკეება. ასეა, ძმებო. ჩვენი გლენ-კა-  
ცობა უნდა იყვეს შემყურადე რუსეთისა და უნდა მოელოდეს  
იმავე ბედს, რასაც რუსეთის გლენ-კაცობა...

გიორგიმ დაასრულა ლაპარაკი, რომლის დროს მისი  
სტუმრებთაგანი ზოგნი წარბებს ქმუნავენ და ზოგნი გა-  
კვირვებული სახით გამოიყურებოდნენ. მეტადრე შესანიშნავი  
იყო ამ დროს ბესიას და ივანეს სახის მოძრაობა: ბესიას რა-  
ღაც შეწუხებული სახე დასდებოდა; ის ხშირათ ტუჩებს კუ-  
მავდა, ცხვირის ნესტოე'ს ბერავდა, ხანდახან მარჯვენა ხელს  
ისომდა შუბლზე. ივანეს თავისი გრძელი, ცოტა მრუდეცხვი-  
რი თითქო კიდევ უფრო ჩამოეგრძელებინა; მის წვრილ-წვრილ,  
მღვრიე თვალებს საუცხოვო მოძრაობა ეტყობოდა; ტუჩები  
ხანდახან შეუტყაპუნდებოდნენ; თავის გრძელ ხელებს ხშირათ  
ისომდა პირის სახეზე, რომელზედაც აქა-იქ თითო ღერობით  
მოპნეულიყო იმისი მქრალი-მოყვითლო წვერ-ულვაში; ხან-  
დახან წარბებ მოქმუნენილი, ბოროტი გამომეტყველებით შე-  
ხედავდა ბესიას და სიმონს.

— თავი ვინ მომქრა და ჩემმა ძმამაო, იმისი არ იყოს, სი-  
მონმა გამაბრიყვა, თვარა არც შენთან მოვიდოდი!

წამოიძახა ივანემ უკმაყოფილოთ, რა რომ გიორგის ლა-  
პარაკი მიწყნარდა, და გამოვიდა გარეთ. მას გაყვენ სხვა ამ-  
ხანაგებიც. რაღაც რაღაცების ჩუმათ ჩალაპარაკებაზე ეტყო-  
ბოდათ, რომ ზოგიერთი მათგანი ივანეზე ნაკლებათ უკმაყო-  
ფილო არ იყვენ გიორგის ლაპარაკით. გარდა სიმონისა და ბე-  
სიასი, არც ერთი მათგანი არ დამშვიდობებია წამოსვლის ხანს  
გიორგის. როცა ისინი კარგა მანძილზე მოშორდნენ იმ სახლს,  
რომელშიაც გიორგიმ მათთვის უსიამოვნო სიტყვა წარმოთქვა,  
ივანემ დაუწყო გიორგის ლანძღვა-კიცხვა უსინდისო-სულელი  
ყოფილათ. ივანეს მიემხრენ რამდენიმე ამხანაგები და იმათაც  
უშვერი სიტყვებით დაუწყეს გიორგის კიცხვა. ერთმა გლენმა  
ისიც არ დატოვა უთქმელათ, რომ გიორგიმ ხატის დანახვაზე  
პირჯვარი არ გადაიწერა, ეტყობა ქრისტიანობაც არ უნდა  
რწამდესო. ყველამ, გარდა სიმონისა, ბესიას დასდევს ბრა-  
ლი — შენ გამონახე იი სულელი, ნაარვეი ბიჭი და თუ იმან  
მთავრობასთან გაგვახილა, შენი ბრალი იქნებაო. მეტადრე  
ძლიერ იწვავდა პირს ივანე — დევილუბნო, გაგვახიელსო. უკანა-  
სკნელ იმ ზომამდე მიადწია ამ ლაპარაკმა, რომ გულ-ფიცხელ  
ბესიას მოთმინება გაუტყდა.

— შენ იმიზა კიცხავ სხვას, რომ საქმე შენ ჭკუაზე წე-  
იყვანო გინდა. მარა ღმერთმა დეიფაროს, ამდენი კაცის საქმე  
ერთი კაცის, მერე კიდევ შენისთანაის, ჭკუაზე რაღა წავა! პირს  
რომ იწვავ, შენ ვისლა უნდა უთხრა — უნდოდა მოღალატე  
ხარო, რომ თვითონ ათასჯელ ჩამდგარხარ ძმის ლალატში!

— ამაყათ უთხრა ივანეს გულ გაცეცხლებულმა ბესიამ.  
— ვის უბედავ, ყაზახო, ამას! ვინ გგონივარ!

წამოიძახა გაბოროტებულმა ივანემ და მოისო ხმალიც  
ხელი. აქ კიდევ მას წავსარჩლა მისი შინა ყმა-კობია და  
ამოიძრო წელიდან დამბაჩა. ამ მუქარაზე თავ-  
ბესიამ თვალის დახამხამებამდის მოიკლო თოფი მხარზე და, თუ  
რომ ერთ მის ამხანაგს სიმარჯვე არ ეხმარა და ხელი არ ეტა-  
ცნა თოფზე, ის იყო, გაისტუმრებდა ივანეს საიქიოს.

— ბესიეი მარტო არ გეგონონ! დაიძახა სიმონმა და იში-  
შვლა ხანჯალი. გაიმართა ერთი აყალ-მაყალი: ცალკე ბრაზ  
მორეულნი ივანე და ბესია თავ გამეტებით მიიწვიდნენ ერთმა-  
ნეთისკენ და ცალკე — კოზია და სიმონ. იმათი ამხანაგები კა-  
რგა ნახევარი საათი მოუწდნენ იმათ დამშვიდებას, მაგრამ კი,  
როგორც იყო, დაამშვიდეს და ცუდი არა რა მომხდარა.

ალბიონი მოახლოებული იყო, რომ ერთ ორ-ტოტა გზა-  
ზე ამხანაგები გამოდრდნენ, ერთმანეთს: ბესია და სიმონ ერთ  
მხრივ წავიდნენ, ივანე და კოზია — მეორე მხრივ; დანარჩენი  
ამხანაგები კი გაჰყვენ ბილიკს, რომელიც მიყვებოდა ტყით  
დაბურულ დაბალ სერს.

— კოზიავე, შენ ჭკუიანი ბიჭი ხარ და იმიზა არ გიმა-  
ლავე, — უთხრა ივანემ თავის ბიჭს, რა რომ ამხანაგები მოიშო-  
რა, — იი გიორგია, თუ ვინცხა უსჯულო ყაზილარია, ძან გა-  
მაკუტა იმის სიტყვამ. ვერ უყურე, იმისთანებს უდობს ქვე-  
ყანას ყურში, რომ რაღა ვთქვა, სულელები ადვილათ დუუ-  
ჯერებენ და ქვეყანა გვირყვენა! გვიგონე ხომე ბატონ-ყმო-  
ბას რაღა წამოკრა ხელი? ჰაი, ჰაი, სად არის კაცი, თვარა  
იმის ენა მწვალათ უნდა შეწვა! ადამს აქეთ ქვეყანაზე ბატონ-  
ყმობა და ახლა ამისთანა ნათრეკია, უღეთო ყაზილარი უპი-  
რობს დაქცევას! ჩემო კოზიავე, შენ სადაც შეხდე ამისთანა  
ამბავს, შენებურათ აჩვენე თვალი ყაძახებს და მიახთინე სუ-  
ლელები, რომ ბატონ-ყმობა ხვთის დაწესებული საქმეა და ეშ-  
მაკეული, უღეთო კაცები იმიზა უპირებენ დამხობას.

— რა ბძანებაა, ბატონო! — უპასუხა ცბიერმა ბიჭმა —  
ამისთანა ამბები ყველა ზღაპარია, ბატონ-ყმობა დეირღვესო  
ამის თქმას ვინ გვივლებს გულში. ამას მარტო ივინი ჩივიან,  
ვისაც ღმერთი და სჯული არ წამს. იი გიორგია, თუ ვინცხა,  
იგი იმიზა ჩივა, რომ თვითონ უკანალოთ შობილი ყოფილა.

— რაღა, ბიჭო? კარქათ მითხარი.

— რაღა? რაღა და გზაზე რომ წამოვედით, არ გიყურე-  
ბია, გიგომ რომ თქვა, გიორგი თავადი არ არის, უკანალო  
შვილიაო?

— თუ ღმერთი გწამს? ჰო, ახლა აღარ მიკვირს, რომ  
იმისთანაებს ჩივა, დედა, დედა: ტრიკი, ტყეში დაბადებულა, ბა-  
ტონ-ყმობას უპირობს დამხობას! მასთან რომ ვიყავი, მაშინ  
მკოდნოდა უკანონო შვილი იყო, მოგეცა ლხენა, ჩუვუშა-  
ქრებდი ყურებს! მარა იმ ღდინ-ძალდმა ყაძახმა, ბესიამ — იმე-  
რელი თავადიშვილია, რუსეთში ნასტავლიაო. და ამით გამა-  
ბრიყვა.

— იმერელი არა იგი, გურიში დაბადებული ტრიკი ყო-  
ფილა. ისე თურმე ნასტავლი ძანნი ყოფილა. ლაპარაკშიც ეტ-  
ყობოდა.

— კაი მის თავს მოუვა, კაი ჭკუიანიური იმან თქვა! ჭკუ-  
აზე შეშლილსავით ამოიჩემა ბატონ-ყმობა სენიაო. აგი მოგე-  
წონა. მარა ყაძახები ჭკუა მოკლებხართ. ამისთანაები მოგეწონე-  
ბიან. სად გაგიგონია, საურჯულოს გარდა, უბატონო ქვეყანა?  
ივარგებს? ერთი მეორეს არ დაკლავს უბატონო ყაძახები! აბა  
ამისთანაი ამბავი ყურიდან ყურში არ უნდა გადიტანო.

— არა, ამას არ მოგახსენებთ. აგი, ვინ არის იმისთანა  
სულელი, რომ არ იცოდეს ყაძახი უბატონოთ არ მოხერხებთ.  
მე იმას მოგახსენებ, რუსებს ვერ მოვერევი და რომ თქვა,  
ძან მართალია, ჩვენ რუსებს ვერ მოვერევი.

— ჰმ, აგი უმისოთაც ვიცოდი მე. მარა ხომ გაგიგონია



შენ, აბდალაგ, ამღერეულ წყალში თებზე უფრო დეიტირება? ქვეყანა პაწას ეირ-დერევა და ჩვენც რამეს გამოვლევთ. აგი მე თვითონც ასჯელ მიფიქრია და მერე კიდევ მე კაი ჩინონიკი კაციდგანც გამიგონია: ქვეყანა თუ დაწყნარდა და დაქუიანდა, ბატონები შიმშილით მოკტებაო. მარა, კოზიაგ, აშას ყველას თავი დაკანებოთ, ერთი ნატვრა უნდა ამისრულო. არ გაგიგონია, ბიჭო, სჯობს ყოველსა მოყვარულსა ბატონ — ყმაი მოყვარულიო? ქუთიანი კაცის ნათქომაა. ღმერთმა იცის, შვილსავეთ გარჯობარდე და ამიზა მაქ შენი იმედი. დღეს იმ მოჯალაბე ყაძახმა, ბესიამ, რომ არ მეკადრებოდა, იმისთანაი მკადრა, ქენი ბიჭობა, მოარტყი ერთი ყურშუმი იმას გულში. ნახე, დაგისტავლო, თუ არა აკი ერთგულობა.

კოზიას სახე ზოროტათ შეუთაშაშდა, გაუღიმდა ამ სიტყვების გაგონებაზე და ისე უბასუხა ივანეს:

— ჩემ თავს იყოს. ვითამ სიმონმა რა კაი გვიყო! იგი არ იყო, რომ ორი ვერ ამაგრებდა, ისე მეიწეოდა ჩვენკენ! იმასაც ზეთ დავამატებ.

— აბა, შენ იცი და შენმა ბიჭობამ, ვიყაროთ მტერის ჯინი.

უკანასკნელ კიდევ შეაგულიანა თავისი შინაყმა ივანემ, რომელმაც ამ დროს კინაღამ არ წაიბორძიკა, რადგან ჩილი ძლიერ მობმოდა.

— გეძინება, ბატონო, მგონია! მარა აღარაფერი გვიკლია, ძივაწით შინ.

— რალა მივაწიეთ, ხედავ მზეი ამოვიდა და ჯერ თვალი არ მომიხუტავს. ოხერია კაცის საქმე.

დატრიალებ, ქვეყანაში თავი გამოიჩინო გინდა, ვითამ და სიტყვებს უმატებ, მარა მეორე ფხრით, კი აღარ იცი, რომ განიც გელევა და სიტყვებს გაკლტება ამით. აბა იფიქრე, ქუხელი მთელი ღამე უძილოთ გავატარე იმის გულიზა, რომ საქმე ჩემ ქუთაზე წვეციყვანო, სხვას არაფერი დავანებო მე-აკი; დღეს აგერ იმის მიზეზით ტვინი მიბრუნა და თვალები იბნელდება! აგერ შუა ხნის კაცი ვარ, სად შემძლია ამდენი, არა გული, გული არ ასვენებს ადამიანს. ყველაის მიზეზი ივია, გივე გვაცოცხლებს და იგივე გვანელებს.

წაილაპარაკა უძილობისაგან გარეცრეცხებულმა ივანემ და აშლილის ნაბიჯით განაგრძო სიარული.

(შემდეგი იქნება).

**პიროვნება და საზოგადოება \*).**


**II.**

მატერია და ენერჯია—აი ერთათ ერთი რეალური ობიექტი მეცნიერების კვლევა-ძიებაში. ჩვენ არ შეგვიძლია მატერია წარმოვიდგინოთ უენერჯიოთ და ენერჯია—უმატერიოთ; თი გაყოფა შეიძლება მხოლოდ სიტყვით, თავის-თავათ ისი-ერთი და იგივეა. მატერია წარმოუდგენელია უფორმოთ, უმცა რომელიმე განსაზღვრული ფორმა უნდა გარდაიქნეს ფაში, ასე რომ მისი თვისება-მოუსპობლობა მის სხვა-და-სხვა ვალებადობაშია. აგრეთვე მასთან მჭიდროთ შეკავშირებული ენერჯიაც მოუსპობელია, თუმცა ეს მისი თვისებაც მის სხვა-სხვაობაშია, მაგ. ქიმიური ენერჯია, სითბოს ენერჯია და კოცხალი ორგანიზმიც წარმოადგენს ერთგვარ მატერიას ორმას, რადგანაც ის შედგება იმ ნაწილებისაგან, რომლებიც შეადგენენ უბრალო, არა-ორგანიულ მატერიას; ქიმიამ არ კის ცოცხალ ორგანიზმში იმგვარი ნაწილაკი, რომელიც არ ოს უბრალო მატერიაში; ის, რაც რომ ასე ახასიათებს ცო-ალ ორგანიზმს, არის ამგვარი ნაწილების რთული შეერთე-ნი და მათი ღიფფერენციალა... მაშ, ცოცხალი ორგანიზმიც ტერიაა, მხოლოდ, გასაოცარი ფორმით, და მეტი არაფერი...

\* ) იხ. № 6.

აქ პროცესი ამ გვართ ხდება. მეცნიარეები თავის და სი-ზრდოთ ყლაპვენ არა-ორგანიულ მატერიის ნაწილებს და ამიაკს, ნახარბადს და სხვას... შემდეგ უმეწეობთ (რომელიც გადადის მათში მზის სხივებისაგან) მეც-ნიარეები ამ უბრალო მატერიის ნაწილებს აქცევენ ორგანიულ შეერთებათ—მყაბდათ, რომელსაც გარეთ ათავისუფლებენ... ამ ორგანიული ნაწილებით, მათი შეერთებით იკვებება ცხო-ველები, რომლებიც თავის მოქმედების, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, თავის ენერჯიის დახარჯვის დროს ათავისუფლებენ იმ ძალას, რომელიც მოთავსებულა მათ სისხლში, ძარღვებში და სხვა ნაწილებში; ასე რომ, იმ ორგანიულ შეერთებათ, რომ-ლითაც ისინი საზრდობენ, ბოლოს ისევ არა-ორგანიულათ აქცევენ... მაშასადამე, ცხოველის ორგანიზმის ენერჯია არის ისევ ის უბრალო მატერიის ენერჯია, მხოლოდ ფიზიკური ფორ-მით, რადგანაც ამ ენერჯიასთან ცხოველის ორგანიზმში განუ-ყრელია ცნობიერება (сознание) და მეტი არაფერი... ყოველი სიტყვა, ყოველი ფიქრი, ყოველი გრძნობა, ყოველი აზრი, ერთი სიტყვით, ყოველნაირი დახარჯვა ფსიხიური ენერჯიისა არის დახარჯვა ფიზიკური ენერჯიისა, ესე იგი, სისხლის, ხორ-ცის, ძარღვების და სხ... ფიზიოლოგიურმა პსიხიოლოგიამ არ იცის რომელიმე განსაზღვრული სულიერი მოძრაობა, რომე-ლიც ასე თუ ისე დამოკიდებული არ იყოს განსაზღვრულ ნერვების მოძრაობისაგან... ამგვართ, სამუდამოთ უარყოფი-ლია ის „სასიცოცხლო ძალა“, რომელიც კაცის ფსიხიკაში ამყარებდა თვითნებობას (самопроизвольность) და გამეფებუ-ლია დეტერმინიზმი, რომელიც კაცის ყოველგვარ მოქმედებას აწერს აუცილებლობას. ყოველი კაცი არის იარაღი აუცილებლო-ბისა. რომ უფრო ნათლათ გავითვალისწინოთ ეს გარემოება, ჩვენ უნდა მივმართოთ ინდივიდუალურ, ფსიხიოლოგიურ თა-ვისუფლებას, რომლის სინამდვილეს ყოველ წამს ვგრძნობთ და რომელიც ვათომ-და ასე ეწინააღმდეგება აუცილებლო-ბას... ამისათვის კი თავის-თავათ საჭიროა წარმოვიდგინოთ, თუ რა არის ინდივიდი... ყოველი პიროვნება წარმოადგენს ორგანიულ არსებას, რომელიც, ერთი მხრით, არის ნაყოფი (გაგრძელება, ასე რომ ვთქვათ) წინანდელი ბიოლოგიური გე-ნერაციებისა: აქ გამომსქვივა მისი ასეთი თუ ისეთი ფიზიკური თვისებანი; მეორე მხრით, ის არის ნაყოფი იმ საზოგადოებრი-ვი პირობებისა, რომლებიც ქმნიან მას თავის შესაფერ პირო-ვნებათ და მით აძლევენ მას განსაზღვრულ ფსიხიურ ორგანი-ზაციას... ერთი სიტყვით, ყოველი ინდივიდი არის ამხანა და არა სხვანაირი. როგორც სულიერ არსებას, მას აქვს სურვილი, ნდობა, მას შეუძლია მოქმედება; მაგრამ როგორ? ინდივიდს, როგორც ამხანა და არა სხვანაირს, აქვს ამხანა სურვილი და არა სხვანაირი, ამხანა ნდობა და არა სხვანაირი; აქედან ის გამო-დის, რომ მას, როგორც განსაზღვრულ პიროვნებას, შეუძლია იმოქმედოს ასე და არა ისე. მაშასადამე, ინდივიდი არ არის თა-ვისუფალი ნდობა-სურვილში, რადგანაც თვითონ ნდობა-სურ-ვილი ისტორიული მცნებაა, ისტორიულათ არის გამოწვეული, შემუშავებული; ის არის ნაყოფი განსაზღვრული ფიზიკური და ფსიხიური ორგანიზაციისა, რომელიც თავის-თავათ ნაყოფია მრავალი ხნის გარდაქმნის პროცესისა... ყოველ ინდივიდში თავდაერილია ფსიხიური ენერჯია, რომლის შეჩერება, შეწყვე-ტა ყოველად შეუძლებელია; მაშ, ყოველმა ინდივიდმა უნდა იმოქმედოს და კიდევაც მოქმედობენ. მხოლოდ, რადგანაც ეს ფსიხიური ენერჯია თავდაერილია ისეთ განსაზღვრულ ვეგუდს დასეხაში, როგორც არის ინდივიდი, ასე რომ ეს ნაყო-ფი მთლათ განსაკუთრებულია თვისი წარმომშობელ ფაქტო-რებისაგან, რადგანაც მას, ამას გარდა, აქვს კიდევ ცნობიერე-ბა, ამისათვის მას ყოველი თვისი მოქმედება ეწვეება ისე, ვი-თომ ის იწყებოდეს მისი „მე“-საგან და მხოლოდ მისაგან; აქ ამ-





ნაირად ინდივიდი გრძნობს თავის თავს, როგორც თვით მიზნის. აქ ინდივიდი გრძნობს იმოქმედოს თავისუფლად ისე, როგორც მაგ. კუჭი ასრულებს თავის განსაზღვრულ ფუნქციას და მეტი არაფერი. ამაში მდგომარეობს ინდივიდუალური, ფსიხოლოგიური თავისუფლება, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ინდივიდის ნდობის, მის განსაზღვრულ მოქმედებას არ აქვს რაიმე დაბრკალება. მაგ., ჩვენ ვაძობთ კუჭზე: კუჭი მოქმედებს, კუჭი ინელებს-თქო; მასაც რომ ცნობიერება მიეცეს, ყოველ ექვს გარეშეა, რომ ისიც ასე იტყვის: მე ვაკეთებ, მე ვინელებ, ესე იგი, მე ვასრულებ ჩემ ფუნქციასო. აი, აქ კუჭი იქნება თავისუფალი ინდივიდუალური-ფსიხოლოგიურათ, როცა ის ასრულებს თავის დანიშნულებას დაუბრკოლებლათ; რეალურათ კი (со стороны) ის თვით არის ნაყოფი განსაზღვრულ ბიოლოგიურ პროცესისა. როგორც ნაყოფი ამ ინდივიდუალურ თავისუფლებისა, ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: „მე“ ვაკეთებ, ესე იგი, ვასრულებ ჩემ ნდობას ძალდაუტანებლათ, თუმცა თვით ჩემი ნება ნაყოფია სხვა-დასხვა მიზნისა... იქაც, სადაც ავტომატიურ მოძრაობას ვეძლე-ვით, იქაც კი ვაძობთ „მე“-ს; მაგ., ძილში ვაძობთ: „მე“ ვადმოვბრუნდი, თუმცა აქაც ფსიხოლოგიური პროცესის იყო მიზნის ჩემი ვადმოვბრუნებისა... ამით აიხსნება შემდეგი გარემოება: რამდენი არის ისეთი მოქმედება, რომელიც თავის-თავათ, ავტომატიურათ ხდება, მაგრამ თუ კაცმა სულ ცოტათ მაინც მიაქცია ყურადღება ამ მისდაუნებურათ გამოწვეულ მოქმედებას, ის მაშინვე წარმოიდგენს თავის თავს თვით მიზნისათ ამ მოქმედებისა, ის მაშინვე იტყვის, მე მინდოდა და კიდევ ვმოქმედებო... ამას გარდა, თავისუფლების ილლიუზიას აძლევს კაცს ის გარემოება, რომ კაცმა, თუმცა კი იცის, რომ ის აი ამ წამს ასე იმოქმედებს, მაგრამ ის მაინც ვერ გაიგებს მისი მოქმედების საბოლოო მიმართულებას... მაგალითათ, კაცს კითხეს:

„საითკენ გინდა წასვლა აი ამ წამს?“

— მარჯვენა მხარისაკენ...

„დაგენად ლევები ყველაფერზე, რომ თქვენ, თუ ნამდვილათ გინდათ მარჯვნივ წასვლა, მარცხნივ ვერც კი გაიწევთ...“

— კარგი, აი ხომ წავედი მარცხისაკენ...

„არაფერი... მეც ვე მინდოდა; თქვენ თითონ ხედავთ, რომ თქვენ ხელთ არ იყო მარჯვნივ წასვლა და ჩემი ორიოდ სიტყვა საკმარისი იყო, რომ მარცხნივ წასულიყავით“ \*).

აი, ეს მაგალითი ნათლათ გვიჩვენებს, რომ კაცი საბოლოოთ ვერაფერს გარდაწყვეტს, რადგანაც საკმაო სულ ცოტა მიზნის, რომ მოქმედებამ სულ სხვა მიმართულება მიიღოს; ამ მიზნებს კი კაცი უკანასკნელ წერტილამდე ვერასოდეს ვერ წარმოიდგენს, ამისათვის მას გონია, რომ ყოველ განსაზღვრულ დროს მას შეუძლია გინდ ასე იმოქმედოს და გინდ ისე, — რადგანაც ამა თუ იმ გვარ ფაქტორებმა წარმოშობეს ესა თუ ის პიროვნება, როგორც ამნისი და არა სხვანაირი, ამისათვის ეს პიროვნება არამც თუ არის იარაღი ცხოვრების აუცილებლობისა, არამედ მას კიდევ ძლიერ უნდა და არ შეუძლია არ უნდოდეს ამ გვარი იარაღობა ცხოვრების აუცილებლობისა... როდესაც ჩემი არათავისუფლება წარმომიდგება თვალ წინ ისე, რომ მე არ შემიძლია ვიმოქმედო სხვანაირათ, ვიდრე ამნაირათ, და როდესაც ჩემი ამგვარი მოქმედება ნამდვილი აუცილებლობაა, მაგრამ მასთანვე სანატრელ სანდომი, მაშინ ჩემი თავისუფლება იგივე აუცილებლობაა, და აი, ამ მომენტში, მე არ ვიქნები თავისუფალი მხოლოთ იმ შემთხვევაში, როცა აღარ შე-

მეძლება ავასრულო ეს აუცილებლობა... აი, აქ არის თავისუფლება, რომელიც წარმოიშობს აუცილებლობისგან და აუცილებლობას, რომელიც გადააქმნის, გადადგმა თავისუფლებას... აი, აქ თავისუფლება შეკეტილი აუცილებლობაა... აი, აქ თავისუფლება, როგორც წინააღმდეგობა განკუთვნი ძალდატანების და მეტი არაფერი... ეს ასეა ინდივიდუალურ ცხოვრებაში... საზოგადოებრივ ურთიერთობათა შორის დეტერმინიზმი კიდევ უფრო გამოძქვივა...

„მაგ., ჩვენ ვიცით, რომ ყოველ საზოგადოებაში მისი წევრები, რომ იტყვიან, შეგნებულათ, აზრიანათ, თავისუფლათ მოქმედებენ; ამ ინდივიდუალურ მოქმედებათაგან წარმოიშობა იმგვარი საზოგადოებრივი ფორმები, რომლებიც მათ სახეშიაც, აზრადაც არ ჰქონიათ, თუმცა-ღა მათვე ეხებიან... აი, აქ თავისუფლება გადადის აუცილებლობაში. მეორე მხრით, რადგანაც ასე დამოუკიდებლათ დამყარდა ეს განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობანი, ამისათვის საზოგადოების წევრებს ეძლევათ ახალი ნიადაგი ახალ ინდივიდუალურ მოქმედებათათვის. აქ კი აუცილებლობა გადადის თავისუფლებაში“ \*\*)... ეს არის დეტერმინიზმის სწავლა-მოძღვრება...

მაგრამ აქ ცოტა გზას უნდა გადავუხვიოთ და გავი თვალისწინოთ, თუ რანაირი სიფრთხილე გვმართებს დეტერმინიზმის გაგებისათვის და რანაირათ უნდა ვინელებდვანელოთ მით პრაქტიკულ ცხოვრებაში. ხშირათ შეხვდებით გამოჩენილ მეცნიერების ნაწერებშიაც, რომ ამნაირი, ესე იგი, დეტერმინისტული ახსნა თავისუფლების და აუცილებლობის იგივე ფატალიზმია; ისინი ამბობენ: „თუ კი რამ ყველაფერი თავის-თავათ მოდის, მაშ, რაღათ ვიმოქმედოთ, რაც იქნება, ხომ მანც იქნება?...“ მაგრამ ამგვარი კითხვა გაუგებრობაა დეტერმინიზმისა და მეტი არაფერი... როგორც ვხედავთ, ზემო მოყვანილ კითხვაში გამოიხატება ამგვარი აზრი; ეს კითხვა ყოველგვარ სოციალურ პროცესს ყოფს ორ ნაწილათ: ერთი მხრით, ის საზოგადო ფაქტორები, რომელნიც კაცთა უნებურათ, მათდა დაუკითხავათ, თავის-თავათ მოქმედებენ, აუცილებლათ ხდებიან, — მეორე მხრით, თვით ადამიანთა მოქმედება... აქედან ის გამოჰყავთ, რომ, რადგანაც სოციალურ პროცესში (ვითამ დეტერმინიზმის აზრით) კაცს არავითარი როლი არა აქვსო, მაშ, მისი მოქმედება რაღა საქიროა, როცა უმისოდაც ყველაფერი თავის-თავათ მოვაო?... მაგრამ ეს ასეა? არა და ათასჯერ არა... დეტერმინიზმი სრულიად ამას არ ქადაგებს და მისი მონათვლა ფატალიზმით ყოველად შეუწყნარებელია. ის ფატალიზმივით არ ყოფს სოციალურ პროცესს ორ ნაწილათ; ის პირდაპირ იმას ლაპარაკობს, რომ სოციალური პროცესის თვით კაცთა მოქმედების ნაყოფიაო, რომ ის თვით ადამიანთა სხვა-დასხვაგვარ ურთიერთობათა შორის ხდებაო... აქედან შეიძლება ის დასკვნა, რომ კაცმა არ იმოქმედოს?... ფატალისტური კვიეტიზმის მიღება თვით ცხოვრების და სიცოცხლის უარყოფაა. მაგალითისთვის შორს არ წავალთ. წარმოვიდგინოთ, რომ მე ავით გავხდი სხვა-დასხვა მიზნების გამო... მაშინ შემიძლია მე ფატალისტური კითხვა დაუსვა ჩემს თავს? ანუ ასე ვთქვა: „ნათ მინდა წამლობა, რაც მინდება, ხომ უნდა მოხდეს-თქო?...“ ამ კითხვას მხოლოთ მაშინ ექნებოდა საფუძვლიანი აზრი, როცა მე უკანასკნელ წერტილამდე გავითვალისწინებდი ყველა იმ გარემოებას, რომლებიც დამჩურჩულებენ აუცილებელ სიკვდილს და ყოველი წამლობის შეუძლებლათ მიღებას... მაგრამ ასეთი წარმოდგენა ჩვენი სიცოცხლის ყოველი ძაფისა ხომ ყოველად შეუძლებელია და მაშა-

\*) Кирсановъ. „Къ вопросу о роли личности въ исторіи“.  
\*\*) Н. Бельтовъ. „Къ вопросу о развитіи монистическаго взгляда на исторію“ (не дословный переводъ).

\*) Герценъ „Общая физиологія души.“



სადამე, არც ზემო მოყვანილი კითხვის დასმა შემძლია... ასეც არ იყოს, თვით ცხოვრება გვასწავლის, რომ ჩემი წამლობა იგივე აუცილებლობა იქნება და არ შეიძლება არ მივიღო ყოველნაირი ღონისძიება ჩემდა მოსარჩენათ... ასევე ხდება ყველა სხვა შემთხვევებშიაც... ასე თუ ისე, თვით კაცის ცხოვრებამ არ იცის ფატალიზმი და კაცი მოქმედებს მხოლოდ დეტერმინისტულათ... დეტერმინიზმის გაუგებლობამვე გამოიწვია შემცდარი აზრი წინ განზრახულ მიზანზე რუსეთის სუბიექტივისტებში, რომელთა საუკეთესო წარმომადგენელი არიან მიხაილოვსკი, კარევი და სხვანი. ისინი ამბობენ: თუ კი რომ ვეგლათიერი აუცილებლათ ხდება, თავისთავათ მიმდინარეობს, მაშ წინგანზრახვით მიზნის დასმა სასურველად... აქაც რომ გაუგებრობაა!?. თუ რომ ისინი წინგანზრახვით იმას თვლიან, რომ ყოველ პიროვნებას თვისი ვითომ-და თვითნებობით შეუძლია დასვას ყველანაირი მიზანი,—მაშინ, რასაკვირველია, მისი მოქმედება სულიერ ავადმყოფს მოგვაგონებდა, და სულელისთანა თავისუფალი არავინ იქნებოდა... თუ კი რომ, პირ-იქით, კაცი ფიზიკურათ და ფსიხურათ მომზადებულია დასვას მხოლოდ განსაზღვრული მიზანი, შესაძლოა ეს და ანა ის—მაშინ, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მისი ამნაირი წინგანზრახული მიზანი მისი ინდივიდუალურ, პსიხოლოგიური თავისუფლების გამოხატვა იქნება და მეტი არაფერი, რასაც, როგორც ზემოთ დავინახეთ, დეტერმინიზმიც იღებს და კიდევაც ნათლათ მარტავს... მაშასადამე, კაცს შეუძლია დასვას თავის ცხოვრებაში მიზანი, იდეალი, მხოლოდ ისტორიულათ შემუშავებული, რომელიც მას პსიხოლოგიურათ თავისუფალ წინგანზრახვათ მოეჩვენება, რეალურათ კი (СО СТО-РОНЫ) აუცილებლობა იქნება... ასე რომ არ იყოს ისტორიაში არაფერი არ მოხდებოდა... ეს რომ ასეა, ანა ნათლათ გვიმტკიცებს თვით ცხოვრება: კლასიური ინტერესები, კლასიური ბრძოლა, კერძოთ პროლეტარიატის მისწრაფება, მისი იდეალი, მისი მოქმედება თვით-ცნობიერების განვითარებაში და სხვა... აქედან ის დასკვნა გამოგვყავს, რომ დეტერმინისტულათ ახსნა ისტორიისა ისე, როგორც ზოგიერთებს გონივით, სიმართლეს მოკლებულია... მაგ., დეტერმინიზმით ახსნა ისტორიისა ხდის ამ უკანასკნელს უპიროვნო (БЕЗЛИЧНЫЙ) პროცესად? სრულიად არა; ის პირდაპირ იმას ატყობებს, რომ ისტორია პიროვნებათა შორის, კლასთა შორის ხდება. იმითვე ახსნა ისტორიისა ხდის ამ უკანასკნელს უპიროვნო, უაზროთ? სრულიად არა... ის პირდაპირ იმას ამბობს, რომ ისტორიაში აზრიც არის, მიზანიც, იდეალიც და სხვა... საქმე იმაშია, თუ რანაირათ ხდება ყველა ეს, და ამაზე დეტერმინიზმი საკმაო პასუხს გვაძლევს... მხოლოდ მისი გაგებაა საქირო და მეტი არაფერი...

გ. რ. რობაქიძე.

### კახარა ყარამანიანი

(გაზ. „ივერიისადმი“)

გუქლენი „ყარდაშ ყარამან-ახალმოსულს.“

ჰოი, ფალევეანთა ფალევეანო, და მათ ზედან უხუცესო, მდევთა მდევო, მზისა შემქმნარავო, მთვარისა მოედანზე გამომთხოველო, მდევებისა ყურებისა მპყრობელო, მათსა კისერსა ზედა ქიმუნჯისა მცემელო, «ივერიისა» გარე გამგდებო, ქაჯეთისა ციხისა ამღებო, ავთანდილ-ყარდაშ-ყარამანო. აწ გავიგე მოსვლა შენი და აღვისო მრჩობლორკვეთა (სტილი «ივერიისა») სიხარულითა გული ჩემი, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა, რაუარ ბრუნდება უკუქცეული მიტოვებულსა მოედანზე. ვფიცავ „პოლსკასა“ მას, რომელმან შემოგიყვანა ყარდაში კურთხეულსა ქალაქსა ანას, ვფიცავ მადსა ბარამჯიბილისასა, „ფაქულტეტობასა“ კუკუშმდევისასა, „ფარაჯასა“

საფილოსოფოსოსასა ფილოსოფოსისა ინ-ანისასა და ძმთა მათთა, მეომართა უებროთა და რიცართა უზაჯეჯეჯე და უფრე-შართა წინაშე ვეშაპისა, რომე წავეიკითხე ტრეპლანსკი-თენერუსა“ წარსულსა კვორიაკესა ფელეტონი შენი და ვცან, რომე ღირსეულსა პასუხსა შეგკადრებ, მბრძანებელო, მარტო ოდენ ამა სინტაქსისითა, რომელსა შიგან პოვებ ისტორიისა შენსა დლიდან შენის მიქცევისა მოედნიდან ვიდრე აქამომდე, ოდეს გახსნა ცა და მოხველი ახლათ, ძველათ გაქცეულო, ჩვენო «ახალმოსულო».

აქა გაქცევა ყარამანისა.

ოდეს ბრძოლითა მოქანცული ყარამანი გუნებახედან სათუთათა შეიქმნა, და იალბუზისა მთიდან ძირსა დაქანა, მაშინ მან მთასა ძირში შენიშნა ნაკადული რაჟე პატარა, რომელსა ნაპირსა ზედან დაჯდა ინახით და სტიროდა ასე ხმითა საიდუმლოურითა: «ვაი, თავსა ჩემსა,—მოთქვამდა ყარდაში—რომელი იგი დაგორდა მთისა მწვერვალიდამა, ერთისა ხელისა შეხებით. ვაი გოდორსა ბზისასა, რომელი იგი მეგონა მე ოქრო, ვაი კვერთხსა ჩემსა, რომელსა ვადარებდი ყავარჯენსა ვბრავლთა წინაწარმეტყველისა მოსესასა. ვაი ზარბაზნებსა ჩემსა, რომელსა ლულასა დაეცო საცოო და ენასა ჩემსა მოელო კარიცა ძველი. ვაი ქსელსა ფერხთა ჩემთასა და უი თქვენ, ჯადოქარო, რამეთუ ცრემლი ჩემი მიზეზია თქვენისა სასტიკობისა, თქვენისა ქაჯოსნობისა და თქვენისა ჯადოსნობისა».

სტიროდა ასე ყარამანი და გულსა მისსა ეღვნებოდა ალი ცეცხლისა. მაშინ მივიდა მასთან ვინმე მდევთაგანი ბარამჯიბილი, დასდო წინაშე მისსა არტალა ორი ტომარა და ასრე მოახსენა ფალევეანთა ფალევეანს.

— ჰოი, ფალევეანო! მესმის მე სიტყვა შენი და გულისხმას ვყოფ ფიქრსაცა შენსა. ვფიცავ პირველსა და უკანასკნელსა ლუკმასა მახობისასა, რომე ქირსა შენსა წამალი დაედებისო.

ყარამანსა ამა სამძიმარზე უფრორე გული აუჩქოროდა და მარტოდენ ცრემლით-და ითხოვდა ნუგეშსა და სალბუნებასა ამა ქირსა შიგან.

მაშინ ბარამჯილი დაწვდა მუჭითა წყაროსა იმას, სადაცა ყარამანი მიხობდა, და აკურა ყარამანსა თვალებსა ზედა.

— რაია ჯადო ესე? იკითხა ყარამანმა.

— ამასა ქაჯნი მარქსსა ეტყვიანო, მიუგო ბარამჯიბილი.

— თვალთა ჩემთა ხედება და ტვინსა ჩემსა ახურებს, მიუგო ყარამანმა.

— ესეცა ენგელისისა ჩაფხუტიაო, კვლავ უთხრა ბარამჯიბილი და ჩამოაცვა ყარამანს თავზე რალაცა „სარვისურამიან-არჩილიან-ყათრან-პლებსიანი“. ამისა შემდგომათ გადი მოედანზე და ნახავ, თუ რა დაემართებათ ჯადოქართათ.

— ტვინი ჩემი ტოკს, ენა ჩემი ლოკს, და ხელი ჩემი თრთოლს.— მიუგო ყარამანმა, წვდა განგდებულსა ლახტსა და მოისურვა ნარისა\*) გაკეთება, მაგრამ იარაღმა დასძლია და ჩაიკეცა მან ბარამჯილის წინ მუხლებზე.

— აწ არ არის ხსნა ჩემთვის და ჯადოიანნი კი აღარა ცხრებიანო, წაიტირა კვალად ყარამანმა, და ამ დროს მართლაც ყუმბარისა ქარმა ელეთ-მელოეთი უჩვენა მას.

გაინ.ბა ბარამჯიბილიცა. ჩაფიქრდა, მოსწმინდა ოფლი ყარამანსა, მოიწმინდა თვითაც და გაიშალა რა შუბლისა კანი, ასრე ურჩია კვალად შეშინებულსა ყარდაშს:

— აწი აღარაფერი გვეშველება და ერთი «განვერდობა» უნდა ქნაო.

— ეგ მერამდენე ჯადოდა იქნებისო, შეეკითხა ყარამანი.

— ეს ჯადო კი არა, ჯადოს გაცლა იქნებაო, მიუგო



ჯიბილმა. «განვერდობა» არის სიბრძნე და ხერხი, რომელი იგი ნიშნავს ბრძოლის მოედნიდან გაქცევას

ყარამანმა ჯიბილსა შუბლზედა აკოცა ამნაირსა წამლის აღმოჩენისთვის, დაიკო თათი ყურებსა შიგან თვისსა, რომე აღარ შესმოდა ჯადოანთა ხმა. მოითხოვა ყველა თვისი ქვე-შვერდობი, საითათოთა ფეხებდან ამთხვევინა მათ, ასწივა მოწყალების ნიშნათ კუკუმდვეი ყურებით, გადიწერა პირჯვარი გულსა თვისსა და მიიქცა ასე გზისაკენ ბერლინისა.

ასრე განერიდა ყარამანი ჯადოქართა, და იწყო იმა დღი-დან მშვიდობა გულსა მისსა და სათნოება კუჭსა მისსა. ჩადგა ხმა „ივერიანთა“ ზარბაზნებისა, ბურუსმან მოიცვა იალბუ-ზისა არე მარე და იყო ესრე მშვიდობა მას დღესა შინა, როგორათაჲ იტყვის მემატთანე «ივერიისა».

აქა დაბრუნება ყარამანისა.

დღესა ერთსა, მზიანსა და შარავანდედოვანსა, იალბუზისა მთა შექანქარდა. მდინარეთა ღრიალი მორთეს და მხეცთა-ცა კნავილი დაიწყეს. ფრინველნი ცისანი მიწაზე ჩამოფრინდნენ და თევზნი ზღვისანი ხმელეთზე გამოვიდნენ. ხემან შესწყვიტა ფოთოლთა შრიალი, ცა და მიწა გაინაზნენ და ყურს უგდებდნენ ერთ ჟრთს. მთვარესა სხივოსნობა მოაკლდა და მზესა ცისკროვნება მისი. და იყო სასწაული ესე წინამორბედი და მახარობელი ამბისა დიდისა. ყარამან-ყათრანი, ფალევიანი ფალევიანთა, ფაშკუნძითა ჰაერში მოქანავობდა კვლავ იალბუ-ზისა მთისაკენ. მას ზურგზედა კალათა ეკიდა და გზადა-გზა ჰკრეფდა ნაბუარსა თვისსა, რომელი იგი განიზნივა ჰაერსა ში-გან ოდეს ჰქონდა მას ფიცხელი ომი ჯადოქრებთან. წარიღო რა ჟამმან წარსული ცრემლები მისი, და მოკრიფა რა თვისა-ვე ხელითა ნაბუარი კისრისა თვისისა, გაწმინდა ესრეთ კვალი საფალევიანო ქალაქისაკენ, აუარა მხარი ბრძოლისა მოედანსა და დაუშვა ფაშკუნი თვისა რომელსამე ქალაქსა, წოდებულსა საყარამანოდ. აწ ესრე გათავდა განქცევა და მოქცევა სიხუმისა მეშოკში ტურნე ყარამანისა ბერლინის ქალაქიდან აქეთ.

შეიტყეს რა მონათა მისთა ამბავი ესე დიდსა ზარსა და ზვიმსა მიეცნენ. კუკუმდვეი სიხარულითა ოცდა-ათსა წყრთა-ზედა შეხტა, ბარამჯიბილმა ორითა ხელითა მუცელი შეაქანა და დანარჩენნი მდევთაგანნიცა სტყენითა ლაღობდნენ.

შემდგომათ რაყიფობისა შემოკრბნენ მონანი ყარამანისა და თათბირი რომელიმე გაპართეს. ერთნი რჩობდნენ შორიდანა ცქერასა ფალევიანისას, ხოლო მეორენი ახლოსა მისელასა ამბობდნენ. ეს უკანასკნელი ცერემონია უმეტესობისა ხვითა შეწყნარებულ იქმნა, და შექმანეს რა კუკუ აკიდეს ზურგზედან ბარათები „მიტან-მოტანეობისა“ და გაუდგნენ გზასა საყარამანიანო ქალაქისაკენ სადა დაეშვა ფალევიანთა ფალევიანი. დე-პუტაციაჲ გზაზედა რამდენიმე მდინარე გადაიარა, და ესრე წყლისა სხურებითა იბრუნებდნენ გულის ღონებას, რომელი ემართებოდათ მათ, რამდენათაც უახლოვდებოდნენ გრილოსა ფალევიანისასა.

— შესდგით! დაიწყვილა ბარამჯიბილმა, ოდეს მონანი მიუახლოვდნენ ტახტრევანსა ყარამანისასა. შეახეთ ნიღაბი თქვენნი აღვილსა ამას წმინდასა და მუხლი თქვენნი მოიდრიკეთ, მონანო!

ბრძანებისა უმაღლესა ესე ჩოქოქითა მიუახლოვდა ყარამანისა ტახტრევანს და ჰყვეს რა ამბორ მისი ფეხისა გულელები, გადასცეს კუკუსა ზურგიდან „ადრესი“, რომელსა შიგან ულოცავდნენ ფალევიანთა ერთესა გამარჯვებას წასვლა-მოსვლითა ჯადოქართა ზედა.

\*) ნარა მდევებისთვის ბრძოლის დაწყების ცერემონიას ნიშნავს: კივილს, წელში გადახექას და უღვაშების გასწორებას.

ბარამჯიბილმა ფალევიანი ირგვლივ გასინჯა ილუმინაციით, რადგანაც, უნდოდა, რომე შეეტყო, რომ ყარამანს ახალი ყუ-მბარები ხომ არ ჩამოუტანიაო. მაგრამ პირსა-მისსა კუკუსტა, როდესაც ნახა, რომე ძველებიცა გულიდან დაუბრუნდნენ ფალევიანს.

— შესწირეთ ზვარაკი მუცელსა თქვენსა! უბრძანათ ირ-გვლივ მდგარ მონათა ყარამანმა.

ბარამჯიბილმა სამზარეულოსაკენ თვალი დაახამხამა და განგებითა ღეთისათა მათ წინ განიშალა სუფთა დიას სამდევო და სახოტბო. ბევრისა სმისა და სადილისა შემდგომათ ყარამანი კისრებზე აღიტაცეს, და მოასვენეს ასე საბუღარსა „ივე-რიისასა“, სადაცა აწიცა ხადილობენ ბატონი და ყმანი, შესა-ძრწუნებლათ ჯადოიანთა...

და იყო ამბავი ესე ჟამსა მას რომელსა ისტორიკოსი „ივე-რიანთა“ აღნუსხავს ტბიკონსა «ივერიისასა» საგონებლათ და სულის საოხათ პაპათა თვისთა, ესოდენ გოლიათთა და მდევ-თათა საკურველთა.

ი. ევლოშვილი.

უურნალ-გასეთებიდან.

ოფიციალურ გაზეთ „კავკაზში“ მოყვანილია მეტათ საინ-ტერესო ცნობები სამხრეთ-აღმოსავლეთ-რუსეთის მთა-მადნებში უბედურ შემთხვევათა შესახებ. ეს ცნობები თვით მთა-მადნის მრეწველთა საბჭო-ს მიერ არის შეკრებილი.

„დონეცის ბასსეინის ქვანახშირის მადნებში 1892 წლიდან 1900-მდე მომხდარა სულ 3,000 მეტი უბედური შემთხვევა. აქედან მომკვდარა 900 კაცი, დასახინრებულა 2,000 მეტი. სა-შუალო რიცხვით 10 მილიონ ფუთ ამოღებულ ნახშირზე მო-დის 9,28 დაშავებული, ამთგან დასახინრებული 6,44 და მო-კლული 2,84. ამავე რიცხვზე სასღვარ-გარეთ მადნის: ზრეს-საში მოკლული 1,22, ინგლისში—0,73, ბელგიაში—0,89, ავსტრიაში—0,99, შეერთებულ შტატებში—ანტრაციტზე—1,31 და ნახშირზე—0,60. აქედან აშკარაა, რომ მოკლულთა რიცხვი დონეცის ბასსეინში 2—5-ჯერ აღემატება კვარანის სახელმწიფოებისას.

6,44 შემთხვევისგან, რომელიც ბოლოდებს დასახინრებით (ყოველ ათ მილიონ ფუთზე)—0,39 სრული ინვალიდია (შრამ-ს სრულიად არ შეუძლია), 1,26-ს—დასახინრებული აქვს რა-მელიმე ნაწილი, და 4,78—დრებით მოკლულთა შრამის საშუალებას.

მადნებში მოკლულ მუშათა ორი მესამედი ცალმედიანია (სა-შუალო რიცხვით ორი ბავში); ნახევარს უკვს მშობლები. და-ქვრივებულის (დედაკაცის) ხნავანება საშუალო რიცხვით უდრის—33 წელს, დაობლებული ბავშვისა—7 წელს და მშობლე-ბის—56.

თვით მოკლულთა ხნავანების შესახებ ცნობები არ არის მოყვანილი, ინვალიდებისა კი უდრის 35 წელს. და არც ზირ-ველთა ხნავანება იქნება ამაზე მეტი.

მუშათა ასეთ მდგომარეობას მიუქცევია თვით მწარმოებელთა ეურადლება და მათ განუხრახავთ დასაზღვევი კასისის დაარსება დაშავებულთა და დაზარალებულთა დასახინრებულთა. განხრახულ წესდებით შემდეგი შემწეობა აღმოჩენებათ: თუ მოკლულ მუშის წლიური ქირა 300 მანათი იყო—მის ქვრივს მიეცემ-90 მან. წელიწადში, ამავენივე ბავშვის, ხოლო მშობლებს—45 მან. სრულ ინვალიდს მიეცემს ორი მესამედი ანუ 200 მ. ისე დასახინრებულს კი წლიური ქირის ნახევარი. ეს ნორმა არსებულზე უფრო ხელსაყრელი იქნება მუშებისათვის (თუმცა თა-ვის-თავათ კი მტრეა). იმავე რაიონის „მთაშენის მუშათა და მხმარებელი საზოგადოების“ ანგარიშიდან ჩანს, რომ ამ სე-



ზოგადების მიერ გაღებული შემწეობა (საერთო ჯამი 42,042 მან.) უდრდა 36—180 მან.

მეტათ საინტერესო იქნებოდა თვით ამ უბედურებათა მიზეზების დასახელება, რომელსაც სამწუხაროთ ვერ ვხედავთ „ცნობებში“, მაგრამ მაინც შეიძლება ვთქვათ, რომ უმთავრესი მიზეზი ისევ გაზების აფეთქებაა. და სამწუხარო ისაა, რომ ცუცხლის და გაზების აფეთქებისაგან უზრუნველ-ყოფის საქმე მდარეობს არა თუ რეგისტრაციის არ არის მოწოდებული, სრულიად მივიწყებულია. მეტათ ცუდათ არის მოწოდებული აგრეთვე საქმიან დახმარების აძლახების საქმეც. უფლებივე ამ საკვლევანებათა მოწინააღმდეგის თხოვლობის თვით კასისის ინტერესები, რომელსაც თავის მოქმედებისათვის წაიჭრათ დაჭირდება ნახევარ მილიონ მანათზე მეტი. ასეთია დღევანდელი სურათი ამ მუშათა მდგომარეობისა.

და მით უფრო სასიამოვნოა, რომ მან თვით მწარმოებელთა ყურადღება მიიქცია. დარწმუნებული ვართ ამ პირველ ნაბიჯზე ვერ შეჩერდება საქმე, რადგან მეტათ მოუწყობელი. მაგრამ მისი განვითარება უმთავრესათ მაინც დამოკიდებულია თვით დაინტერესებულთა შეგნებულ მოქმედებაზე.

\* \*

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ამ წლიდან თფილისის გუბერნიისათვის შემოიღება საფაბრიკო ინსპექციის ინსტიტუტი. როგორც „ფინანსთა სამინისტროს უწყებაში“ მოხსენებული, ამ ზომის შემოღება გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ ოკანასკნელ წლებში ტფილისში მუშათა საქმის გამო რამდენიმე ალელვება მოხდა, რომელთა მიზეზების გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ უმეტეს შემთხვევაში ალელვების მიზეზი იყო მუშაობის პირობათა ურიგო დაყენება. უფრო თვალსაჩინო გაფიცვათა საქმე-ვირეობება განხილულ იქნა განსაკუთრებულ კომისიებში, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ სხვა-დასხვა დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენლები; ამ კომისიების სხვა-დასხვა დასკვნა მუშაობის პირობათა ამა თუ იმ ნაკლებობებზე და მუშათა ცუდ მდგომარეობის შესახებ მაშინვე ეცნობა მრეწველთ, რომელთაც დაწვრილებით განუმარტეს, რა ცალილებათა მოხდენა საჭირო მუშების სამართლიან უკმაყოფილების თავიდან ასაცილებლათ.

მუშების გაფიცვათა მიზეზების გამოკვლევა, აგრეთვე შესწავლულ განსაკუთრებულ კომისიებში მოღვაწეობა შეარჩენდა შრომის, რომელიც დიდ ღრის თხოვლობდა და კისერზე დააწვა ადმინისტრაციას, რადგან ამიერ-კავკასიაში საფაბრიკო ინსპექცია არ არსებობს; ხოლო ადმინისტრაციის იმდენ საქმეშია ვართული, რომ ფიზიკურათაც არ შეეძლო ბეჯითათ შედგომოდა მუშათა საქმის გამოკვლევას. ამას შედეგათ ის მოყვა, რომ ადმინისტრაციისაგან მიღებულ ღონისძიებათ კერძო ხასიათი ქონდათ, არ შეეფერებოდნენ თფილისში მრეწველობის სწრაფ ზრდას და ვერ აკმაყოფილებდნენ ახალი ღრის მოთხოვნილებათ. ხოლო მუშაობის პირობათა გაუმჯობესობის საჭიროება თან-და-თან ძლიერდებოდა და საქმე რთულდებოდა. ასე რომ მარტო რებრესიული ღონისძიებათა შემწეობით ვერ გადაწყდებოდა; ამიტომ კავკასიის მთავარმართებელმა აღძრა შუამდგომლობა რომ საფაბრიკო ინსპექციის ზედამხედველობა შემოღებულ ყოფილიყო მარტო თფილისისათვის. ეს შუამდგომლობა უმაღლესმა მთავრობამ შეიწყნარა და დაწესდა საფაბრიკო ინსპექცია, მაგრამ არა მარტო თფილისის, არამედ მთელი გუბერნიისათვის, რადგან საფაბრიკო საქმეთა საკრებულოს დაარსებისა და საფაბრიკო ინსპექტორების დანიშვნის შემდეგ ახალი კანონის მიხედვით გუბერნიისაზე გავრცელება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

### ქართული თეატრი.

წარსულ ხუთშაბათს ვ. ს. ალექსი—მესხიშვილის საზოგადოებრივ წარმადგენს „უმატიონის“ დრამა 3 მოქმედების მსახიობებისა და კომედიის 3 მოქმედებათ „კრეჩინსკის ქალების“ მსახიობებისა. რაც შეეხება დრამას, უნდა ვთქვათ, რომ ჩვენმა მსახიობებმა თვით ბ-ნი მესხიშვილიდან უკანასკნელ როლის მოთამაშებამდე, ვერ იქონიეს სასურველი შთაბეჭდილება საზოგადოებაზე. უფრო შეგნებულათ და ხადისთანთ ითამაშეს კომედია. საუცხოო იყო თვით მობეზიისე ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი რსულიუვის როლში, ეთველი მისი მიმიკა დამახასიათებელი იყო ამ სულით და ხორციით გაწვნილი ცხოვრების ტალღებისაგან დასახინჩრებულ ადამიანისა, რომელსაც წარმადგენს რსულიუვის როლი. სასიამოვნო იყო მსუურებისათვის შეგნებული თამაში ვ. აბაშიძის კრეჩინსკის როლში.

რეჟისორის საყურადღებოთ უნდა შეგნებნოთ, რომ უკეთესი იქნებოდა დრამატული როლებს არ აძლავდნენ ქ-ნ ტასო აბაშიძეს, რომლის ნიჭი სულ სხვა როლებისათვის არის უფრო შესაბამისი. მით უმეტეს რომ დრამატული როლებისათვის ჩვენ დასს უვს მოთამაშე მსახიობი ქალები. კარგი იქნება არ ტანჯავდნენ აგრეთვე სახატო და ნიჭიერ მსახიობს გაბუნია-ცაგარლისს ევროპულ ქალის როლებში, რომელშიაც ის უფრო ხანუმას თამაშობს ხელმე.

### საქველმოქმედო საქმი.

ქ-ნო რედაქტორი! ევრილის უფასო წიგნთ-საცავის გამგობის, 19 დეკემბერს 1901 წ. დადგენილებისამებრ, უმარხილესათ გთხოვ თქვენა ხატავრემული საოჯალ-კვირთა გაზეთის „კვლის“ შემწეობით გამოუცხადათ უდრმესი მადლობა იმ ზიროთ, რომელთაც კეთილ იხებეს ევრილის სმკითხველთს წიგნთ-საცავის სასარგებლოთ თავისი წვლილის შემოწირვა და იმ ზირობსაც, რომელთაც მიიღეს თავის-თავზე შრომა და შეწირულებანი მთავრობის; ალექსანდრე სმირიძისას ასულს ჭუმბურიძეს და ანა ექვთიმეს ასულს ჩირკაძეს, რომელთაგანაც ზირკლმა მთავროვს 54 მანათი და მეორემ 20 მანათი. აი ამ ზიროთ სია, რომლებსგანაც ჭუმბურაძემ მთავროვს შეწირულებანი: სკვასტი მ. გაჩეჩილასისაგან და ვას. ზავლეს ძის კვირიკაშვილისაგან სმ-სამი მანათი (6 მ.); ზარმენ ხასიძემ და გაზიმიერ კენსტოვიმ ო-ო-ო მანათი (4 მ.); ალთა ჭუმბურიძემ, ზოკოფთი საყვარელიძემ, ეკატერინა ჭუმბურიძემ, ლუკა ჯახელიძემ, მალაღისი სოკოლოვამ, ვენიან ალექსანდრე აბაშიძისმ, სმირიძის გ. ლუკავამ, ნიკოლოზ საყვარელიძემ, ილია უიფიანმა, ვასილ დუვდარიანმა, დანავო კვლევარდისმ, ტასო ან. ელერტმა, ფეოდოსი მსკვარაიანისმ, ვაბო დუვდარიანმა, ნიკოლოზ ჩირკაძემ, გრეკულოვამ, ვიკსენმა, ნიკოლოზ რუხინამ, ბესარიონ დუვდარიძემ, ბელიუვისკიმ, ალექსანდრე ნ. კალატოზოვამ, ანა იოსელიანისმ, ნეფთიკე თაბუკაშვილამ, კორნელი ჭუღელიძემ, იუსტინე ობრედაძემ, თორნიკე გუგუშიძემ, ალექსანდრე ხუბინაძემ, ნინო ანდრუსოვამ, ოლდა არამიძისმ, ერისთო ხანდრავამ, იოსებ ოხვავაძემ და მისილ ი. საყვარელიძემ თითო მანათი (32 მ.); ზალიკარტე დეგ დარიანმა, ალექსანდრე ცხადაძემ, ზელავის ცერცვასისმ, ბაბო გაჩეჩილასისმ, ფეოფან ანანასისმ, სება დამასიძემ, მარგარიტა მანასაძემ, ვარინკა გაბუნასმ, სემონ ტოკოხიძემ, მარია გაჩეჩილასმ, ტასო ჭვადუამ, ნინო ეუგუშეისისმ, მართა ხუბინასისმ, სურათიან მესხმა, ეკატერინე თხუკელისმ, მარია ზ. გაჩეჩილასისმ, მართა ცერცვასისმ, ალექსანდრე ფერასისმ, ალექსანდრე თურმანიძემ, ნიკოლოზ ა. ჩხეიძემ და მარია ევავასისმ ათ-ათი მანათი (11 მ.); ზაბლოდსკიმ ორი აბაზი (40 კ.); ბესარიონ საკანდელიძემ და ანჩკა ტოკოხიძემ ექვსეკსი მანათი (60 კ.)—სულ 54 მანათი.

ბ. ჩირკაძემ—ფოტინე ანდრეშვილის, მარია ცინცაძის, ევდოკია ჩირკაძის, ქეთო წერეთლის, ოლდა ჭინაშვილის, ბაბილის ჩირკაძის, ი. კვლევარდის, ალექსანდრე საყვარელიძის, ზელავის დამასიძის, ეკატერინა ცალუშეისის, მარია არამიძის, ი. ურთქმე-



ლიდის, შ. დეკანოზის და სხვა კეთილშეშობის თითო მანათი (14 მ.); ლადო ზაგუბენიანის, ნ. გელაშვილის, ვერა ბუღაჩიანის, მარიამ ტერეგოზიანის, ვანდუკიანის, ამაშუკელიანის, ალავერდიანის, ჯაფარიანიანის, კარო ცინცაძის, ალექსანდრე ანანიანიანის და ევგენიანიანიანისგან ათ-ათი შურა (6 მ.). ამანათთა ორგანიზაციის შექმნის მიზნით ფულით შედგა სულ სამცხე-დასთხმული მანათი (74 მ.), რომელიც გადმოეცა მე ზემონსენებულნი უფასო სამკითხველს წიგნთსაცავის საზინადარს.

ბ. კელენჯერიძე.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

# გ ა ნ ჯ ს ა დ ე ბ ა ნ ი .

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგებთა შორის აცხადებს, რომ

## „როინაშვილისეული“

ფოტოგრაფიისთვის, რომელიც დარსქმნილია

### უგალეს ივანე ასოკრიძის

ვიდეოს, მოწვეულია ახალი გამგე. შეიძლება შეკვეთა ეფექტური ფოტოგრაფიული სურათისა, რომელიც თავის დროს და გულ-მოდგინებით მსადავებს. ფასები ევალესთვის ხელ-მისაწდომია, ხოლო მოსწავლეთათვის შედარებითა. ფოტოგრაფიის, რომელიც ეფექტულად აჩვენებს დიდის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე, მრავლად შეიძლება შეუტაროთ თავის საქართველოს და კავკასიის შესანიშნავი ადგილების, ტიპებისა, მოღვაწეთა და ძეგლთა სურათები. (3—1)

თფილისის კერძო სამკურნალო

### მ. გავიშვილიანისა

(კუბა, ნიკოლოზის ქ., სახლი საგინაშვილისა, № 21).

ტელეფონი № 247.

ავთმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა დღით:

- კ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი, 8—10 საათ. მასივალ გელაშვილი — ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ., გარდა ხუთშაბ. და შაბათისა.
- კ. გ. ივანოვი — შინაგანი და ბავშვებისა, 9—10.
- გ. გ. მალაშვილი — შინაგ. სამშ. ზ. ხუთშ. 10—11.
- ნ. ა. მუხომანი — ყურისა, ყელისა და ცხვირისა, 11—12.
- ი. ბ. ახალაშვილი — კბილის სნეულებანი, 10—12.
- კ. მ. კლიშინაშვილი — შინაგ. და ბავშვ. 11—12.
- ქ. ი. მ. ს. ბაქრაძე — ბავშვებისა, 11—12.
- დ. ა. გელაშვილი — ნერვებისა და შინაგ. 12—1.
- ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკეობით, 12—1.
- ს. ა. კონინი — ქირურგიული, ორშაბათობით ოთხშაბათობით და შაბ. 1—2.
- მ. მ. ამარდანიანი — სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1—2.

ს ა ლ ა მ თ ი :

- ი. ნ. თუმანიანი — დედათა სნეულებანი, 5—6.
- ა. გ. მალაშვილი — შინაგანი და ბავშვებისა. 5—6.

გ ვ ი რ ა ბ ი თ :

- გ. გ. მალაშვილი — შინაგან ავთმყოფ., 10—12. სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღირებთათვის უფასოა.

ღამ-ღამით კვირებს მორიგობა, ღამის 9 საათიდან დღის 7 საათამდე. მსურველნი შეუძლიანთ სასლმად წაიყვანონ. (წლ.)

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო

ნახაზიანი გავითი ეროვნული

# „ი ვ ე რ ი ა“

(წელიწადი მუთე)

გამოვა 1902 წელსაც ყოველ კვირა დღეს, ერთიდან სამ თაბახამდე

მომავალში ფორმებით.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდება მეცნიერული საუკუნის მოღვაწეთა სურათები (ეგროპის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბიოგრაფიებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქართველ მოღვაწეებს.

გაზეთი წლიურად ღირს თფილისში 7 მან., თფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამი შური. ადრესის გამოცვლა თფილისს გარეთ ღირს ორი აბახი.

სულის მომწერებს შეუძლიათ წყის ფული ნაწილ-ნაწილად შემოატანონ:

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-ახნაურო ქარვასლა), რეინის გზის სადგურზე — პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტი-შვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში, თეატრის ქუჩა, № 12.

ქუთაისში: მიტროპოლიტის კანცელარიაში და ვ. ბუქნიანიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში კ. თაყაიშვილის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველოში; ოზურგეთში და ახალ სენაკში კ. თაყაიშვილის წიგნის მაღაზიაში; ჭიათურაში კალისტრატე ჭინაძისთან და გერასიმე ბერიძისთან; ყვირილაში ივანე არდიშვილთან. დაბა ს.ონში — სახალხო სამკითხველოში. ძველ-სენაკში — არსენ წითლიძისთან. ოზურგეთში — დომენტი შავიშვილთან. საბუნჩაში — დიმიტრი მელაძისთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакция „КВАЛИ“.

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი

# „ი ვ ე რ ი ა“

გამოვა 1902 წელსაც გადამავალი იმავე პროგრამით, როგორც წინეთ.

ფასი გაზეთისა: ერთი წლით — 10 მან., 1/2 წლით — 6 მან., 1 თვით — 1 მ. 50 კ.; საზღვარ-გარეთ დაბარებული ელირება 17 მან. მთელი წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელი წლით დაეთმობათ 8 მ.

თუ თფილისში დაბარებულია გაზეთი თფილისს გარეშე ადრესზე შეტყობა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში 1 მან.; ხოლო თუ თფილისის გარეშე სულისმომწერელი ერთი ადგილიდან მეორეში გადაიდა, უნდა გამოგზავნოს 40 კ.

შეღვათა წლიურ სულისმომწერთათვის: ვინც გაზეთს ამ თვით მთელი წლით დაიბარებს, იმას შეუძლია წლის ხელმოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამგვარათ: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1-ლ მარტს — 2 მ., 1-ლ მაისს — 3 მ. და 1-ლ სექტემბერს — 2 მ.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე თითოჯერ სტრიქონი — 5 კაპ., პირველზე — 10 კაპ.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგი ადრესით: თფილისი, „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოზის ქ., 21. და „ქართულთა შორის წ. გ. გამაგრ. საზ.“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, თავად-ახნაურების სახლი.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ. Редакция „Иверія“.

დროებით რედაქტორი დ. ი. საჩავერდიანი.

გამომცემელი ვა. ჭავჭავაძე.

3 - 3

გამოვიდა და იყიდება ლეჩხუბი-და პოთხუბი ი. კვალ-შვილისა, მეორე შეესებული გამოცემა ავტორის სურათით გ. წ — ს და აშხ. ფასი ათი შაშრი. ვინც ათ ცალზე მეტს გამოიწერს, წიგნი დაეთმობა 25% დავლებით. ადრესი: Редакция „Квали“ Г-ну. Хоситову.